1924 წ. 25 მაისი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ფასი 8 კაპ. ჩერვონეც.

ჩირაღდანი

№ 11 გაზ. „კომუნისტი“-ს სალიტერატურო—სამხატვრო ორკვირეული დამატება № 11

ლენინი და ხელოვნება

(მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი)

ლენინს მისი ცხოვრების განმავლობაში ძლიერ ცოტა დრო ჰქონდა, რომ ერთგვარათ სერიოზულათ მოეკიდა ხელი ხელოვნებისათვის. და ის ყოველთვის ამ მხრივ თავს ამ დარგის არ მცოდნეთ თვლიდა, ვინაიდან მას სძაგდა ყოველგვარი ზერელე ცოდნა, ამიტომ მას არ უყვარდა თავის აზრის გამოთქმა ხელოვნებაზე. მიუხედავათ ამისა მისი გემოვნება გარკვეული იყო. მას უყვარდა რუსი კლასიკოსები, უყვარდა რეალიზმი ლიტერატურაში, თეატრში, მხატვრობაში და სხვ.

ჯერ კიდევ 1905 წელს, პირველი რევოლიუციის დროს, მას ერთხელ მოუხდა ღამის გათევა ამხ. დ. ი. პეშჩენკოს ბინაზე. სადაც, სხვათაშორის, იყო კნაკფუსის გამოცემათა მთელი კოლექცია, მიძღვნილი მსოფლიოს თვალსაჩინო მხატვრებისადმი. მეორე დილით ვლადიმერ ილიჩმა მითხრა მე: „რა წარმტაცი დარგია ხელოვნების ისტორია. რამდენი სამუშაოა აქ კომუნისტისათვის. დილამდი ვერ დავიძინე, სულ წიგნებს ვფურცლავდი. და მეწყინა მე, რომ მქონებია და არ მექნება დრო ხელოვნებისათვის“, ვლადიმერ ილიჩის ეს სიტყვები განსაკუთრებით ნათლათ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

რამდენჯერმე მომიხდა მე მასთან შეხვედრა უკვე რევოლიუციის შემდეგ სხვა და სხვა სამხატვრო კონკურსების დროს. ასე მაგალითად, მახსოვს მე, გამომიწვია მან მე და ჩვენ მასთან და ამხანაგ კამენევთან ერთად გავემგზავრეთ „მაცხოვრის“ ტაძრის ახლო ალექსანდრე მესამეს ძეგლის ნაცვლად ახალი ძეგლის დასადგმელათ პროექტების გამოფენაზე. ვლადიმერ ილიჩი ძლიერ კრიტიკულად ათვალიერებდა ყველა ამ ძეგლებს განსაკუთრებულის გაკვირვებით იდგა ის ფუტურისტულ ყაიდაზე შედგენილ პროექტის წინ, მაგრამ როცა მე შევეკითხე მას თუ რას ფიქრობს მან სთქვა: „აქ მე არაფერი არ მესმის, კითხეთ ლუნაჩარსკის“. ჩემმა განცხადებამ, რომ მე არ ვხედავ არც ერთ ღირსეულ ძეგლს, ის ძლიერ გაახარა და მან მითხრა: „მე კი ვფიქრობდი, რომ თქვენ რაიმე ფუტურისტულ ტიკინას დადგამდით“. მეორეჯერ საქმე შეეხებოდა კარლ მარქსის ძეგლს. ცნობილმა მოქანდაკემ მ-მა განსაკუთრებული „სიმტკიცე“ გამოიჩინა. მან წარმოადგინა ოთხ სპილოზე მდგომ კარლ მარქსის დიდი ძეგლი. ასეთმა მოულოდნელმა მოტივმა ჩვენ, და აგრეთვე ვლადიმერ ილიჩიც, ძლიერ გაგვაოცა. მხატვარმა დაიწყო თავისი ძეგლის გადაკეთება, გადააკეთა სამჯერ, არაფრის გულისათვის არ სურდა ხელი აეღო კონკურსში მონაწილეობაზე. როცა შემფასებელმა კომისიამ ჩემის თავმჯდომარეობით უარყო მისი პროექტი და შეჩერდა მხატვართა ჯგუფის მიერ ალიოშინის მეთაურობით,—წარმოდგენილ კოლექტიურ პროექტზე, მოქანდაკე მ. პირდაპირ შეიჭრა ვლადიმერ ილიჩის კაბინეტში და იჩივლა. ვლადიმერ ილიჩმა ძლიერ ახლო მიიღო გულთან მისი საჩივარი, სპეციალურად დამირეკა მე, რომ დამენიშნა ახალი შეფასება. მითხრა, რომ თვითონ მოვა ალიოშინის და მოქანდაკე მ—ის პროექტების დასათვალიერებლად. მოვიდა. ალიოშინის პროექტით დიდათ კმაყოფილი დარჩა და მოქანდაკე მ—ის პროექტი უარყო.

იმავე წელს, პირველი მაისის დღესასწაულებზე სწორეთ იმ ადგილს, სადაც განზრახული იყო მარქსისათვის ძეგლის დადგმა, ალიოშინის ჯგუფმაააშენა დიდი მასშტაბით ძეგლის პროექტი. ვლადიმერ ილიჩი სპეციალურად გაემგზავრა იმ ადგილის. რამდენჯერ-დაათვალიერა ძეგლი ყოველი მხრიდან, იკითხა რა სიდიდის იქნება და ბოლოს და ბოლოს მოიწონა, მაგრამ მითხრა: „ანატოლ ვასილის ძევ, განსაკუთრებით უთხარით მხატვრებს, რომ თავი მსგავსი გამოვიდეს, რომ მივილოთ კარლ მარქსისაგან ის შთაბეჭდილება, რომელსაც ქმნიან მისი კარგი სურათები, თორემ რაღაც არა გავს“.

18 წელში ვლადიმერ ილიჩმა მომიხმო მე და განმიცხადა, რომ უნდა წავსწიოთ წინ ხელოვნება, როგორც სააგიტაციო საშუალება. ამავე დროს მან მოიყვანა ორი პროექტი. პირველყოვლისა, მისი აზრით, სახლებზე, ეზოების კედლებზე და სხვა ამგვარ ადგილებზე, გაკეთებული უნდა იქნას ლამაზათ რევოლიუციონური წარწერები. ზოგიერთი ასეთი წარწერები მან იქვე მოიყვანა.

ამ პროექტს მთლიანად ხელი მოჰკიდა ამხ. ბრიხნიჩევმა როცა ის გომელის განათლების განყოფილების გამგე იყო. გომელი მე ვნახე აჭრელებული, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ასეთი წარწერებით, რომლებსაც აზრის მიხედვით არაუშავდა. ამხ. ბრეხნიჩევმა სადღაც რესტორანში სარკეებიც კიააჭრელა ასეთი წარწერებით!

მოსკოვში და ლენინგრადში ეს რაღაც არ გატარდა არა მარტო ასეთ გადაჭარბებულ ფორმებში, არამედ იმ ფორმებშიც, რომელიც შეეფერებოდა ლენინის აზრს.

მეორე პროექტი გულისხმობდა ძეგლების დადგმას ყველა დიდ რევოლიუციონერებისათვის ძლიერ ფართე მასშტაბით. ძეგლები უნდა ყოფილიყვენ დროებითი ხასიათის და უნდა დადგმულიყო მოსკოვსა და ლენინგრადში, ორივე ქალაქი მხურვალედ გამოეხმაურა ჩემს წინადადებას ილიჩის იდეის განხორციელების შესახებ. განზრახული იყო, რომ თითეული, ძეგლი ზეიმით იქნება გახსნილი სიტყვით ამ რევოლიუციონერზე და რომ მათ ქვევით იქნება შესაფერი წარწერები. ვლადიმერ ილიჩი უწოდებდა ამას „მონუმენტალურ პროპაგანდას“.

ლენინგრადში ეს მონუმენტალური პროპაგანდა საკმაოთ წარმატებით ჩატარდა. პირველი ძეგლი იყო შერვუდის რადიშჩევი. ამავე ტიპის ძეგლი დაიდგა მოსკოვში. სამწუხაროთ, ეს ძეგლი ლენინგრადში, მგონი, დაიმსხვრა და არ აღუდგენიათ. საერთოდ ლენინგრადის კარგი ძეგლების უმრავლესობა ისეთი სათუთი მასალისაგან იყო დამზადებული, რომ ჩქარა დაიმსხვრა, მე კი მახსოვს გვარიანი ძეგლები, მაგალითად გარიბალდის, შევჩენკოსი, დობროლიუბოვის, გერცენის და ზოგიერთი სხვების. უფრო ცუდათ გამოდაოდა ძეგლები ე. წ. მემარცხენეების მიერ დამზადებული.

ყველაზე უკეთესი იყო ლასალის ძეგლი, რომელიც მოქანდაკე №-მა დაამზადა. ეს ძეგლი ყოფილ ქალაქის თვითმართველობასთან დადგმული დღემდი დარჩა. როგორც მახსოვს, ის ჩამოასხეს ბრინჯაოდან. ძლიერ კარგი იყო აგრეთვე კარლ მარქსის ძეგლი, რომელიც დაამზადა მოქანდაკე მატვეევმა. სამწუხაროთ ის

დაიმტვრა და ახლა იმავე ადგილს, ე. ი. სმოლნის ახლო შეცვლილია კარლ მარქსის ბრინჯაოდან ჩამოსხმული თავით.

მოსკოვში, სადაც ძეკლების დანახვა შეეძლო ვლადიმერ ილიჩს, ისინი ცუდი გამოვიდნენ. მარქსი და ენგელსი მოათავსეს რაღაც აუზში და მათ ხალხმა „გრძელ წვერებიანი მობანავეები“ უწოდა. ყველას აჯობა მოქანდაკე კოროლევმა. დიდი ხნის განმავლობაში ხალხი და ცხენები, რომლებისაც მიასნიცკის მოედანზე უხდებოდა გავლა შეშინებული უცქერდნენ რაღაც გაკოფებულ ფიგურის, რომელიც ფიცრებით იყო დაფარული. ეს იყო ბაკუნინის ძეგლი პატივცემული მხატვარის მიერ დამზადებული. თუ არ ვცდები, ძეგლი გახსნისთანავე დაამტვრიეს ანარქისტებმა, ვინაიდან მოწიხავეებათ არ თვლიდენ ანარქისტები თავის თავს, მათ ვერ მოითმინეს მოქანდაკის მიერ მათი ბელადის ხსოვნის ასე „აბუჩად აგდება“.

საერთოდ დამაკმაყოფილებელი ძეკლები მოსკოვში ძლიერ ცოტა იყო. ყველაზე უკეთესი, რომ ვთქვათ, იყო პოეტი ნიკიტინის ძეგლი. მე არ ვიცი, დაათვალიერა თუ არა ილიჩმა ყურადღებით ეს ძეკლები, მაგრამ ერთხელ მან უკმაყოფილოთ მითხრა, რომ მონუმენტალური პროპაგანდიდან არაფერი არ გამოვიდაო. მე უპასუხე მითითებით ლენინგრადის გამოცდილებაზე და ზინოვიევის სიტყვებზე. ვლადიმერ ილიჩმა იეჭვნეულათ გაიქნია თავი და სთქვა: „რა, პეტერბურგში ყველა ნიჭიერები შეიკრიბენ, მოსკოვში კი ყველა უნიჭოები“-ო? ასეთი საოცარი მოვლენა მე მას ვერ აუხსენი.

მახსოვს აგრეთვე, მხატვარმა ალტმანმა აჩუქა ვლადიმერ ილიჩს მარელიეფი, რომელზედაც გამოხატული იყო ხალტურინი. ვლადიმერ ილიჩს მარელიეფი ძლიერ მოეწონა და მკითხა მე, ფუტურისტური ნაწარმოები ხომ არ არისო. საერთოთ ფუტურიზმს ის უარყოფითად უყურებდა; მე არ დავსწრებივარ მის საუბარს უმაღლესი სამხატვრო-სახელოვნო სასწავლებლის მსმენელებთან, სადაც ის როგორღაც გაემგზავრა საერთო საცხოვრებელში, სადაც ცხოვრობდა, თუ არ ვცდები, ერთი მისი ნათესავი ქალი. მე გადმომცეს შემდეგ მისი საუბარი ამ სასწავლებლის მსმენელებთან, რომლებიც რასაკვირველია, ყველანი მემარცხენეები იყვენ. ვლადიმერ ილიჩი ხუმრობით უპასუხებდა, დასცინოდა ცოტათი, მაგრამ იქვე აცხადებდა, რომ სერიოზულათ ლაპარაკს ასეთ საგნებზე არ კისრულობს, ვინაიდან თავის თავს ამ დარგში საკმაოთ მცოდნეთ არ თვლის. თვით ახალგაზრდობა მას ძლიერ მოეწონა და გაახარა მათმა კომუნისტურმა განწყობილებამ.

ვლადიმერ ილიჩს მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ძლიერ იშვიათად უხდებოდა დატკბობა ხელოვნებით. ის რამდენჯერმე იყო თეატრში, მგონი, სამხატვრო თეატრში, რომელსაც ძლიერ მაღლა აყენებდა. წარმოდგენები ამ თეატრში ყოველთვის საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდენ მასზე.

ვლადიმერ ილიჩს ძლიერ უყვარდა მუსიკა, მაგრამ მას ის აღელვებდა. ერთ დროს ჩემს ბინაზე იმართებოდა კარგი კონცერტები. ზოგჯერ მღეროდა შალიაპინი, უკრავდა მეიჩიკი, დობროვეინი, რომანოვსკი, სტრადივარიუსის კვარტეტი, კუსევიცკი კონტრაბასზე და სხვ. მე ბევრჯერ მიმიპატიჟებია ვლადიმერ ილიჩი, მაგრამ მას მუდამ არ ეცალა. ერთხელ მან პირდაპირ მითხრა: „რასაკვირველია, ძლიერ სასიამოვნოა მუსიკის მოსმენა, მაგრამ წარმოიდგინეთ ის მე მაღელვებს. მე მას რაღაც მძიმედ განვიცდი. მახსოვს, ამხ. ციურუპამ, რომელმაც ერთხელ თუ ორჯერ მოახერხა ვლადიმერ ილიჩის წაიყვანა იმავე პიანისტის რომანოვსკის კონცერტზე ოჯახში, მითხრა მე, რომ ვლადიმერ ილიჩი, ძლიერ დაატკბო მუსიკამ, მაგრამ, როგორც შევატყვე, აღელვებული იყოვო.

დაუმატებ ამას, რომ ვლადიმერ ილიჩი ძლიერ ნერვიულად ეპყრობოდა დიდ თეატრს. მე რამდენჯერმე მომიხდა მტკიცება იმის რომ დიდი თეატრი ჩვენ შედარებით იაფი გვიჯდება, მაგრამ მაინც მისი მოთხოვნით თეატრს დახმარება შეუმცირეს. ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიჩი ორი მოსაზრებით: „უხერხულიაო,—ამბობდა ის,—ამდენი ფულის დახარჯვა ასეთ მდიდარ თეატრზე, როცა ჩვენ არ გვყოფნის საშვალებები სოფლად უბრალო სკოლების შესანახათ“. მეორე მოსაზრება წამოაყენა მან, როცა ერთ ერთ სხდომაზე მე შევეკამათე მას დიდი თეატრის წინააღმდეგ მისი გალაშქრების გამო. მე მიუთითებდი დიდი თეატრის კულტურულ მნიშვნელობაზე, მაშინ ვლადიმერ ილიჩმა გაიღიმა დაცინვით, დახუჭა ცალი თვალი და სთქვა: „მაგრამ მაინც ეს არის წმინდა მემამულური კულტურის ნაგლეჯი და ამის წინააღმდეგ კამათი არავის არ შეუძლიაო“. ამ სიტყვებიდან არ გამომდინარეობს, რომ ვლადიმერ ილიჩი წარსულის კულტურისადმი საერთოდ მტრულად იყო განწყობილი. სპეციფიურ-მემამულებათ მიაჩნდა მას ოპერის მთელი თანამედროვე ხასიათი. საერთოდ კი წარსულის ხელოვნებას, განსაკუთრებით რუსულ რეალიზმით, ვლადიმერ ილიჩი დიდათ აფასებდა.

აი ის ფაქტიური ცნობები, რომლებიც მე შემიძლია მოვიყვანო ჩემი მოგონებიდან ილიჩის შესახებ. ვიმეორებ, თავის ესთეტიურ სიმპატიებს თუ ანტიპატიებს ვლადიმერ ილიჩი არავისთვის არ ხდიდა სავალდებულოდ.

ამხანგებს, რომელთაც აინტერესებთ ხელოვნება, ახსოვთ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ხელოვნების საკითხების შესახებ, რომელიც ძლიერ მკაცრად იყო მიმართული ფუტურიზმის წინააღმდეგ. მე ახლო არ ვარ გაცნობილი ამ მიმართვის ისტორიასთან, მაგრამ ვფიქრობ ვლადიმერ ილიჩს ამ მიმართვაში დიდი ნაწილი უდევდა. იმ დროს სრულიად შემცდარად, ვლადიმერ ილიჩი მთვლიდა მე ფუტურიზმის მომხრეთ ან კაცთ რომელიც ხელს უწყობს მას, და ალბათ ამიტომ არაფერი უთქვამს ჩემთვის ც. კ. ამ რესკრიპტის გამოცემის წინ, რომელსაც, მისი აზრით, მე უნდა გამომესწორებია ჩემი ხაზი.

დიდათ არ მეთანხმებოდა მე ვლადიმერ ილიჩი აგრეთვე პროლეტკულტის საკითხშიაც. ერთხელ ძლიერ დამტუქსა კიდეც. ვიტყვი პირველ ყოვლისა, რომ ვლადიმერ ილიჩი სრულიად არ უარყოფდა მუშების წრეების ინიშნველობას მწერლებისა და მხატვრების მოსამზადებლათ პროლეტარული წრიდან და მიზანშეწონილად თვლიდა მათ გაერთიანებას სრულიად რუსეთის მასშტაბით, მაგმამ მას ძლიერ აშინებდა პროლეტკულტის ზრახვები პროლეტარული მეცნიერების და საერთოდ პროლეტარული კულტურის გამომუშავების სფეროში. ეს პირველყოყლისა, მას მიაჩნდა არადროულად და შეუძლებელ ამოცანათ,—მეორე, ის ფიქრობდა, რომ ასეთი ბუნებრივად ძლიერ ნაჩქარევი ნაბიჯებით პროლეტარიატი გაიმიჯნება სწავლისგან და უკვე მზამზარეული მეცნიერებისა და კულტურის შეთვისებისაგან, და მესამე — ეშინოდა ვლადიმერ ილიჩს აგრეთვე იმის, რომ პროლეტკულტში არ დაებუდებია რაიმე პოლიტიკრ ცრუმორწმუნეობას.

ვლადიმერ ილიჩმა, პროლეტკულტის ყრილობის დროს, მგონი ოც წელში დამავალა მე გავმგზავრებულიყავი ყრილობაზე და გადაჭრით მეთქვა, რომ პროლეტკულტი უნდა იყოს განათლების კომისარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ და უყურებდეს თავის თავს, როგორც მის დაწესებულებას. ერთი სიტყვით ვლადიმერ ილიჩს სურდა, მიგვეახლოებია პროლეტკულტი სახელმწიფოსთან, იმავე დროს ის იღებდა ზომებს, მიეახლოებია ის პარტიასთან. სიტყვა, რომელიც მე ყრილობაზე წარმოვთქვი, შევადგინე შემარიგებელ კილოთი. მე შემცდარად მიმაჩნდა რაღაც შეტევის დაწყება და წყენინება შეკრებილ მუშებისათვის. ყლადიმერ ილიჩს ეს სიტყვა უფრო რბილი რედაქციით გადასცეს. მან მომიხმო და გამცოცხა. შემდეგ, პროლეტკულტი გადახალისებული იქნა ვლადიმერ ილიჩის გეგმის მიხედვით. ვიმეორებ, მისი გაუქმება მას არასოდეს არ მოსვლია თავში. პირიქით, მის წმინდა მხატვრულ ამოცანებს, სიმპატიით უყურებდა.

ახალი ლიტერატურული და მხატვრული მიმართულებანი, რომლებიც რევოლიუციის დროს წარმოიშვენ, უმთავრესად უყურადღებით რჩებოდენ ვლადიმერ ილიჩის მხრივ. მას არ ეცალა შათთვის ყურადღების დასათმდბათ. მაგრამ მაინც ვიტყვი, მაიაკოვსკის „ასორმოცდაათი მილიონი“ ვლადიმერ ილიჩს აშკარათ არ მოეწონა. არ შეიძლება მწუხარება არ გამოვსთქვათ, რომ მას უკვე შეეძლო თავისი აზრი გამოეთქვა ლიტერატურის მიერ რევოლიუციისკენ პირის მობრუნების შესახებ, რაც შემდეგ მოხდა და უფრო მომწიფებული ხასიათი ჰქონდა.

ყველამ იცის თუ რა დიდ ინტერესს იჩენდა ვლადიმერ ილიჩი კინემატოგრაფიისადმი.

ა. ლუნაჩარსკი.

სადარაჯოზე

(პატარა ხურათი აჯანყებიდან).

ქალაქის მახლობლათ დასავლეთისკენ მაღალი მთა მოსჩანდა, მისი გასწვრივ აღმოსავლეთისკენ მიდორი იყო გადაშლილი, რომელიც თავდებოდა ფართო ფერდობებით. ზოგან დახურული ხეხვა და ხეხვა სიდიდის ბუჩქებით შიგ-და შიგ ამწვანებული მოლით იყო მოქარგული.

სიოს ნელი ბიბინით ფიანდაზად ეფინებოდენ მცენარენი ერთმანეთს თითქოს გულზე იხუტებს საყვარელ არსებასო. მახლობლათ ბუჩქებთან პატარა წყარო ამოდიოდა მიწიდან საამო რაკრაკით და მისი ბუნებრივი მუსიკა უერთდებოდა ფრინველთა ჟრიამულს.

შუა ღამეს გადაცილებული იქნებოდა. პირმცინარე მთვარეს მისი მშვენიერი მოელვარე სახეს შუბლი გადეფინა დედამიწის ზურგზე. ვარსკვლავთა უსაზღვრო რაოდენობით მოჭედილი ცა გადაეფარა სამყაროს.

— აბა სანდრო, ფრთხილათ იყავი ამხანაგო, რაც შეიძლება თვალყური ადევნე რომ მოულოდნელათ არ დაგესხან თავზე, ის ჯალათები ისა.

არიგებდა ბუჩქთან მიმალულ ყმაწვილ კაცს ხანში შესული ბებერი ვასო.

— რა თქმა უნდა, მე მთელი ჩემი ყურადღება მიქცეული მაქვს მაზე, მხოლოთ საინტერესოა ვიცოდე ჩვენი გაგზავნილი კაცი ჯერ არ დაბრუნებულა?

— ჯერ არა, მაგრამ სადღაცაა, მოვა. შედეგსაც გაგაგებინებ.

— შენ იცი ვასო!

— მე წავალ ეხლა.

— სხვაგან ხომ დგანან ამხანაგები?

— შიში ნუ გაქვს ყველგან არის კაცი დაყენებული სადაც საჭიროა.

— კარგი, ეხლა შენ წადი და სხვაგანაც მიხედე.

— ფრთხილათ, მე მალე მოვალ, რომ დავათვალიერებ. სანდრო კვლავ მარტო დარჩა და ფიქრებში გაერთო.

— არა, სანამ უნდა იტაჯოს მაინც მშრომელ ხალხმა ასეთი მდგომარეობით: ნუ თუ მან ყოველგვარი გაჭირვება უნდა გამოსცადოს დაწყებულ პირველყოფილ კომუნიზმიდან ვიდრე დღემდე, მაგრამ რას იზამ, ისტორიული პროცესი ასეთი ყოფილა; ნიკოლოზის მთავრობა ჩაბარდა ისტორიის არქივს და ვიმედოვნებ მალე მშრომელთა გამარჯვება, რაც აუცილებელია, მეფის, ბურჟუაზიის ლაქიებს, კოალიციონურ მთავრობის ბატონობასაც მოუღებს ბოლოს.

მას უცებ ხმაურობა მოესმა, გამოურკვეველმა ოცნებისგან იქით-აქეთ მოიხედა.

— ვასო ვარ, ვასო ნუ გეშინია!

— რა ამბარია' კაცი დაბრუნდა?

— კი, დაბრუნდა.

— რა ამბავი მოიტანა?

— ამბავი მაინც და მაინც არც სასიამოვნო.

— რა? მაინც ვიცოდე!

— გურიიდან ჯარი ჩამოუყვანიათ და მით გვემუქრებიან.

— უთუოდ დაქირავებულნი იქნებიან?!

— აბა რა გგონია ჩემო სანდრო, წუხელის სახლში რომ მივედი ჩემმა ძმამ ჭადის ნატეხიც აღარ მომცა „შენ სამშობლოს მოღალატე ხარო" თვითონ გვარდიაში ჩაწერილა სამარცხვინოთ.

— ვის უნდა ენდო კაცი?

— ვისაც სურს მშრომელთა გამარჯვება, სხვას კი არავის.

— კარგი, შემდეგში როგორ მოვიქცეთ?

— მზის ამოსვლამდე უნდა შეუდგეთ საქმეს.

— აჯანყებას არა?

— დიახ აჯანყებას, შეიძლება იმათ დაგვამარცხონ, მაგრამ ასეთი შეფერხება ჩვენ ვერ გაგვტეხს.

— გეგმა გაქვთ შედგენილი?!

— ყველაფერი მზათ არის.

— ვასო, ლენა სად არის ეხლა თუ იცი?!

— ნახვა გსურს?

— ძალიან!

— ის გავაგზავნეთ ამბავის გასაგებათ ქალაქში წუხელ ექვსი საათის მატარებელით.

— თუ ასეა კარგი. თქვენ იცით როგორ წაიყვანთ საქმეს.

— — — —

II

განთიადი მოახლოვებულიყო.

ყველგან რაღაც უსულო მოძრაობაა. ყველა რაღაც მზადებაშია, ამბოხება მზადდება.

მზეს ჯერ კიდევ არ ამოეყო თავი აღმოსავლეთით, მხოლოთ მისი შუქი ანათებდა უსაზღვრო სივრცის მაღალ ფენებს. არც მთვარე ვადაცილებულა ბნელ ხაზს.

ფრინველებს ეტყობოდა გამოფხიზლება. წყაროს რაკრაკი კი ისევ უცვლელი იყო.

— ყველაფერი მზათ არის—მოისმმა ხმა.

— მაშ საჭიროა საქმეს შეუდგეთ...

უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა ვასოს, მაგრამ მასთან მოირბინა ერთმა ამხანაგმა, რომელსაც ძალზე დაღლა ეტყობოდა.

— ჩვენ მიერ გასამაგრებელი ადგილი გვარდიელებმა აიღეს.

ნაწყვეტ-ნაწყვეტათ წარმოსთქვა მან ეს სიტყვები.

— რას ვიზამთ ამხანაგებო, ბრძოლის დროს როგორც გამარჯვება, ისე დამარცხებაც მოსალოდნელია გამამხნევებელი კილოთი მიუგო ვასომ.

— როგორ მოვიქცეთ ეხლა?

— ვაეცი განკარგულება ყველა შეგროვდეს, მოვილაპარაკოთ.

— მოვიხმოთ ყველა!..

მოისმა საშინელი ხმაურობა: ზარბაზნებისა, ტყიის-მფრქვეველისა, თოფებისა და სხვა.

— ჯარი ბევრი ყავთ თუ იცი? იკითხა ვასომ.

— რას ამბობთ, ხუთას კაცამდე იქნება, მასთან ყოველგვარი საჭირო იარაღით გამოწყობილნი. უპასუხა ახლათ მოსულმა ამხანაგმა.

— ჩვენ ვერაფერს ვერ გავხდებით ასეთი მცირე რიცხოვანი და ისიც უიარაღო ხალხით!

— რა დროს ლაპარაკია სანდრო, ხომ ხედავ, რა ამბავია!

— როგორ მოვიქცეთ... ისმის ამხანაგების ხმა.

— თავს უშველეთ ამხანაგებო, თავს, ბრძოლით ვერაფერს ვერ გაეხთებით და ცხადია წინააღმდეკობასაც ვერ გაუწევთ, შეწუხდებიან სოფლათ მცხოვრენი, ისედაც გაჭირვებულნი მეტს საგონებელში ჩავარდებიან. უკეთესია გავიქცეთ.

— ჩვენ რას მოველოდით! წინ კი განადგურება გვიდგას.

ფიქრობდა ზოგიერთი მეომარი. ხმაურობა თანდათან ძლიერდებოდა, ჯარი რომელიც გაქცევას აპირებდა, დაბანაკებულნი იყვნენ მთაზე. ძრძოლის დროს მათაც სცადეს თავიანთი ძალა, გვარდიელების წინააღმდეგ ვერაფერს გახდენ.

ბხოლოთ უკანასკნელის გავლამ სოფელში სამხედრო მარაგით, თავისებური შთაბეჭდილება დაამჩნია სოფლის მოსახლეობაზე.

III

გამარჯვებული გვარდია თარეშობდა სოფლად. ყოველ დღე კრებები ქონდათ მოწვეული, ისიც იმ დრის, როცა გაზაფხული იდგა და გლეხობა მზადებაში იყო წლიური სარჩოს დასამუშავებლად. ნაცვლათ ამისა მათ ყოველდღე აკდენდენ მუშაობისგან.

ორშაბათი დღეა ნამდვილი სამუშაო დღე. გლეხობას თავი მოეყარა ერობის სამმართველოს წინ და თავიანთი გაჭირვებულ მდგომარეობაზე შესჩიოდენ ერთი მეორეს. ჯგუფ-ჯგუფათ დაყოფილნი.

— არა, გიგო, ნუ თუ არსებულ მთავრობას იოტის ოდენა შებრალება არ შერჩენია ხალხისადმი?

— ცხადია, რომ არა აქვთ შებრალება, თორემ ასეთ დროს ჩვენი მოცდენა სამუშაოზე რას უნდა მიეწეროს?!

— ამ დილას ხარი, რომ გაუბი კავში მილიციონერები მომვარდნენ და მათრახის ცემით კინალამ მომკლეს.

— რას იზამ, ძალა მათ ხელშია! ყველანი განუწყვეტლივ ჩიბუხს აბოლებდნენ, თითქოს ამისგან იყრიან ჯავრსო!

— ეი, თქვენ! ნუ ჩარჩურჩულებთ მანდა! გასცა ბრძანება ადმინისტრაციის გამგეებ.

— წინადადებას გაძლევთ, აჯანყების მეთაურნი აქ მომგვარეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერ სასჯელსაც მიიღებთ.—იმუქრებოდა ერობის ადმინისტრაცია. ამ დროს მათთან გაჩნდა ვიღაც სამეედრო პიროვნება ათი მილიციონერით.

— კრება მზათ არის კომისარო?

— დიახ, ბატონო ადიუტანტო!..

— დამნაშავეთ შემჩნეულნი აქ მომიყვანეთ.

— აი, აქ გახლავთ სი.

— გამოუძახეთ სათითაოთ!

— ზოგი აქ არ არი ბატონო ადიუტანტო!

— როგორ თუ არ არის: მამა, დედა, დაძმა, შვილი, ცოლი, ნათესავი ან ვინმე იქნება, სულერთია.

— თქვენ, მოღალატე თქვენა! მომიყვანეთ აქ დამნაშავენი, წინააღმდეგ შემთხვევაში მზათ იქნება თქვენთვის სახრჩობელა.—იმუქრებოდა ადიუტანტი.

— სანდროს გამოუძახეთ! ის იქ იმ დროს არ იყო. მამა მისი აღმოჩნდა, მოხუცებული ძალზე ჯოხით ხელში მიათრიეს ადიუტანტთან.

— შენი შვილი სად არის მოხუცებულო?

— არ ვიცი ბატონო!

— არ იტყვი? კარგი, მე შენთან სალაპარაკოთ არ მცალია. ესეც შენ და შენს თეთრ წვერს—გადუქნია მათრახი საბრალო მოხუცს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩაუნასკვა ზურგზე კნუტი—რა გითხრა ბატონო უფროსო, ასეთი ქცევით თქვენ დროს ვერ წაიღებთ და არც ჩემთან უნდა მოქცეულიყავ ასე.

— ხმა ჩაიკმიდე!—მიაძახა მან და ხელმეორედ მოუნდომა ცემა. მოხუცმა ვერ აიტანა სიბერის დროს ასეთი შეურაცყოფა და მივარდა მასთან საცემრად. მან ადიუტანტის ცემით იგრძნო გული.

ხალხი ხმა გაკმენდილი მისჩერებოდა მათ და გულში ყველა სიამესა გრძნობდა მოხუცებულის გამარჯვებით.

მილიციონერებმა გააშორეს მოჩხუბარნი ერთი მეორეს. ადიუტანტმა ადმინისტრაციას გადახედა სასტიკის თვალით.

— თქვენც პასუხისმგებელი იქნებით ჩემს წინაშე იცოდეთ, რადგანაც მთელი სოფელი გაჟენთილა ბოლშევიკური სულით და თქვენ კი დროზე ყურადღება არ მიგიქცევიათ—წარმოსთქვა ნაცემარმა ადიუტანტმა.

— ჩვენ დამნაშვილ არა ვართ ბატონო, სასტიკი ზომებიც მივიღეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით.—იმართლებდა კომისარი თავის თავს მისი ერთგული მუშაობით.

— კომისარო, ყველა დამნაშავენი ხვალემდე იქ მაზრის სამმართველოში მომიყვანეთ!—დაუბარა ადიუტანტმა კომისარს და ამის შემდეგ ერთი წუთით არ დარჩენილა.

კომისარმაც გასცა ბრძანება რომ დამნაშავენი სახლში არ წასულიყვნენ და მილიციის მათრახის ქვეშ ყოფილიყვნენ სანამ მაზრაში არ გააგზავნიდენ, იქ კი ვინ იცის რა მოელოდათ მათ?!

მუშა ილშელი.

მუშის შემოქმედება.

ცეცხლის ღუმელის წინაშე ვდგავარ,
მცხუნვარე ალი ირგვლივ მედება,
მე ლეგენდალურ ჰერკულესს ვგავარ—
ოფლია ჩემი შემოქმედება.

მე მეფეთ-მეფე ძლევამოსილი
ვერ მიმორჩილებს სივრცე და დრონი,
მე ვქმნი ყველაფერს არ ვარ მოცლილი
და ყველაფერის თვით ვარ პატრონი.

კრთის ჩემ წინაშე მდინარე თუჯის
მაღლიდან ქვევით რომ ედინება,
შრომაში მიდის ცხოვრება ფუჭი
აქ არის ბრძოლა და შერკინება.

ეს მანქანები რომ მუსიკობენ
ის აამღერა სწრაფ-მსრბოლ ღვედებმა...
მზის სამეფოზე რომ ოცნებობენ—
იგია ჩემი შემოქმედება!

ფ. ნაროუშვილი.

მარადი მგზავრი

შუა ღამე იყო. ვიჯექი კარ ჩაკეტილ ოთახში. სიბნელემ შთანთქა მთელი მიდამო. გავცქერი მე ფანჯრიდან შორს. მოვკარი თვალი, ოდნავ შუქ-მფინარე სინათლეს. სული შფოთავს... ერთი საათია რაც მას უცქერი დაკვირვებით, გული მიღელავს... ვფიქრობ, ვეკითხები ჩემს თავს ნუ თუ არ გათენდება მალე? ღამე გრძელდება. შორი სინათლე როგორი ნელი ნაბიჯით მოიწევს ჩემსკენ. ახლა მეც მინდა მივეგებო მას. მაგრამ ვინ იცის, გზაზე რამდენი ტანჯვა, წვალება, უფსკრული, კლდეებზე გადასვლა მომიხვდეს. არა, ვაიმედებ გულს. ნუ შეშინდები, ოღონდ ამ სიბნელეს დავაღწიოთ თავი გადავიტან ყველაფერს. ეს იყო, გიჟივით გამოვარდი ოთახიდან, მივდივარ თვალს არ ვაცილებ პაწაწა სინათლეს, რომელიც დროის სვლაში თან და თან მატულობს. მინდა რაც შემიძლია შევამოკლო გზა, გადაჭრით მივიდე.

მივდივარ. ვატყობ, შორი სინათლეც მოდის შეუმჩნეველად. გზაში მცივა, ვკანკალებ... მხვდება ოღრო-ჩოღროები... გავდივარ... ჰა ესაა და ეს, გადავდექ კლდის ნაპირზე, გადავხედე ქვევით უფსკრულია უძირო... ნუ თუ აქ არის ჩემი ცხოვრების უკანასკნელი წუთი? მაგრამ არა... უნდა გადავიდე გაღმა მეორე მთაზე რაც უნდა შემემთხვეს. რანაირათ? ბევრი არ მიფიქრია, შევკარი ხეები, გავდე ნაპრალზე არ შეუშინდი, გავედი. ახლა კიდევ გზაში ვარ. ჰა ისევ კლდის ნანგრევები, რომლებიც დაბარდულ არიან ნარ-ეკლებით. ახლა რას იზამ?. ნუ თუ შეეძლებ გზის გადაკაფვას!., ესაა უკვე ჩავები. მჩხვლეტავს ეკლები... სისხლი, ვაი ვაგლახი, გაჭივრება... გავკაფე გზა და ახლა კი უახლოვდები შორი სინათლეს, ვამჩნევ ხეების შერხევას და თან სიბნელეს ეკარგვის ძალა, გარიჟრაჟი მოდის. მე გზას ვაგრძელებ... ჰა, ესაა მივაღწიე, მაგრამ რას ვხედავ, უცნაური არსება... ტანი მისი იყო ქარი, სული კი ცეცხლი, რომელიც ანათებდა და სწვევდა. მე გაკვირვებით შევხედე...

არა, მითხრა, მე ვარ ის ქარ-ცეცხლა არსება, რომელიც სპობს ქვეყნად სიბნელეს, ადამიანთა შორის ჩაგვრას... მეც ეს მინდოდა, შეეერთდით და გაუდექით ორთავემ გზას...

II

მივდივართ გზაზე. ქარ-ცეცხლა სწვავს, ანგრევს ძველს. ამბობს: ეს ასეც უნდა, ამ ნანგრევზე უნდა აშენდეს ახალი... მე უამბე მას ჩემი თავგადასავალი. ახლა უკვე გათენება ძალიან ახლოა ჩვენ კი ისევ გზაში ვართ. ჰაა, გათენდა უკვე, მზეც ამოვიდა... შედგა ცოტა ხნით უცნაური არსება და გამიცხადა: აი, ახლა უკვე გვაქვს ჩვენ გავლილი ერთი მეექვსედი მთელი ქვეყნისა, მაგრამ... უყურე იმ მზეს რომელიც ახალ ქვეყანას ანათებს, აბა რას ამჩნევ? ის ანათებს, ათბობს ერთნაირად, მხოლოდ ჩემ მიერ გავლილ არე-მარეს. მაგრამ არის კიდევ ქვეყნები, სადაც კიდევ ზამთარია და ხალხს ყინვა ზარავს. ჩემი აჩრდილი იქაც თავს დასტრიალებს მყვლეფელთა ხროვას და უქადის მათ განწირვას. როგორც შენ მიილტვოდი ჩემსკენ ისე ისინიც ჩემსკენ მოიჩქარიან და მე კი მათკენ შეუმჩნევი ნაბიჯით. დროთა სვლაში მათთან გავჩნდები და ეს მზე გაანათებს. და გაათბობს ყველგან ერთნაირად. მე, მეძახიან შორი სინათლეს. ყოველი ადამიანთან ვარ ძალიან ახლო, მაგრამ მასთან კი შორს. ეს იყო უკანასკნელი სიტყვა და თვალიდან დამეკარგა. უცებ თავ ბრუ დამესხა, მაგრამ ისევ მოვედი გონს. ვნახე მხოლოდ დილის ამოკაშკაშებული მზე მაფრქვევდა თავის სხივებს. ვფიქრობ ნუ თუ ეს იყო სიზმარი? არა ეს არ ყოფილა სიზმარი. ეს იყო უდიდესი სინამდვილე. ეს იყო გამარჯვების ზეიმი რომელიც მთელ ქვეყნიერების გაყვლეფილ მშრომლებს ეპატიჟებოდა ამ დიად ნადიმზე.

მუშა. ი. ონოლიელი.

მიწის ზეიმი.

ჩამოვაცალეთ დედამიწას მონობის კაბა,
გიგანტის მხრებზე გადავაცვით ფარჩის მანტია,
ხავსით დაშმული გადავბუგეთ სოფელი, დაბა,
დღეს მხურვალებით ჩვენი სული ცეცხლის შანთია.

ყალბ ტაძრებიდან ცრუ მოგვები გამოაძევეს,
ითვრება მიწა უჩვეულო წითელი მორფით,
პარნასის მთებზე ვედრებაა: „გვიშველე, ზევეს“
დაიმხო ძველი ქარიშხლიან მძლავრ კატასტროფით.

შენ პოეზიავ, ცეცხლის ენით მჭრელი ხარ მარად,
აჰა, მიიღე ჩირაღდანი სხივებით უხვი!
რაც ვერ დავსძლიეთ გადავლახავთ დიდი ტრიუმფით,
ძველო გმირებო: „რობესპიერ, დანტონო, მარატ!“...

მ. გვანცელაძე.

ბურჟუეზი ჯოჯოხეთში ანუ ჯოჯოხეთის ტრესტი *)

მოქმედება მეორე

იგივე სცენა, მხოლოდ მოწყობილობა ცოტათი შეცვლილია: შუაზე სდგას დიდი მაგიდა საჭმელ-სასმელით. ეტყობა, რომ აქ ცოტა ხნის წინეთ დიდი ქეიფი ჰქონდათ.

მეფისტოფელს სძინავს ტახტზე თავდაყდნობით.

ალექაჯა და **მდივანი** კუთხეში ბანქოს თამაშობენ. ესენი და სხვებიც ამ მოქმედებაში ჩაცმული არიან ამ ქვეყნიურ უკანასკნელ მოდაზე.

მდივანი. წკენტას ცხრიანი! აბა თქვენ რა გაქვთ, ალქაჯ მაჯლაჯუნოვნა, მაჩვენეთ?

ალქაჯა. ჯვრის ქალი! რა, არ გიამათ? აი კიდევ ყვავას ტუზი! წააგეთ? ჩამოდით ფულები!

მდივანი. დღეს რაღაც არ მიღიმის ბედი. სულ წავაგე, რაც ფულები მქონდა!

ალქაჯა. არა გიშავთ რა, ხვალ კიდევ აიღებთ ჭრთამს ტრესტიდან და ისევ გაიტენით ჯიბეებს.

მდივანი. ვეღარ მოგართვით! ამ ბოლო დროს არც ისე ხელგაშლილი არიან, როგორც პირველათ იყვნენ. ბუშტაძეს ერთ ჩერვონეცს ვერ დასცანცლავს ახლა კაცი... წკენტას ქალი!

ალქაჯა. გასუქდენ და გათამამდენ ძალიან ისინი... ჯვრის ხელმწიფე!

მეფისტოფელი. (ძილის ბურუსში ბოდავს). შვიდ-მუცელაძე, მოდი ერთი ვყლინწოთ კიდევ, მეგობარო! ალავერდი შენთან ხუცესო! ბარონესა, შენი სადღეგრძელო იყოს! არ შეიძლება პროშტი დაგტყუოთ?..

ალქაჯა. (წამოვარდება გაცხარებული). რაო, რაო? ბარონესას შენობით ელაპარაკები და კოცნასაც კი სთხოვ! აი შე ძველო ტყაბუჩელა! ქალებში არშიყობაც კი დეიწყე ამ სიბერის დროს განა?! სად არის ჩემი ცოცხის ტარი, მე შენ თუ გვერდები არ დაგიზილე, ქალი აღარ ვყოფილვარ!..

მეფისტოფელი. გეთაყვა, ჩემო კარგო, შენ ცდები! არაფერი მაგნაირი არ არის,—ეს მე სიმთვრალისგან ძილში წამომაბოდა!

მდივანი. ალქაჯ მაჯლაჯუნოვნა, დაანებეთ თავი, ხომ ხედავთ გადაკრულია ცოტა! განვაგრძოთ თამაში. თქვენია გამოსვლა.

ალქაჯა. ეშმაკთან... თავის თავთან დაიკარგეთ! მე ქმარი გამილოთდა, გამერყვნა, ქალებს აეკვიატა და თქვენ კი ბანქოს თამაშით მეჩხირებით აქ!

მდივანი. რა გაეწყობა! მას შემდეგ, რაც იმ ცოდვილმა ბურჟუებმა აქ ტრესტი გახსნეს, ყირამალა გადატრიალდა ყველაფერი! თუმცა მე ძალიან კმაყოფილი ვარ: ნახეთ, როგორ უხდება ჩემს დრუნჩს ეს კასტუმი!

ალქაჯა. (იღებს რიდიკიულიდან პატარა სარკეს, კეკლუცათ იცქირება შიგ და ისწორებს ცხვირზე უმარულს). მე როგორღა მიხდება ეს კაბა? ჩემს სახეს შვენის თუ არა ეს ფერი?

მდივანი. საუცხოოთ! თქვენ მაგ კაბაში მომხიბლავათ გამოიყურებით, თვალწარმტაცათ! (შემოდიან გალეშილები: ბ ე ლ ზ ებ ე ლ ი, შ ვ ი დ მ უ ც ე ლ ა ძ ე, ბ ა რ ო ნ ე ს ა და მ ღ ვ დ ე ლ ი).

ბელზებელი. წყნარათ! მიცქირეთ თვალებში! მე ვარ აქ უფროსი და სხვა არავინ! (ასლოკინებს. გვირგვინი გვერდზე მოექცევა).

შვიდმუცელაძე. ეი! მეფისტოფა! არ გესმის! მოდი ერთი გადაეკრათ მერვე სამიკიტნოს გახსნის აღსანიშნავათ! მოდი რაღა, ძმავ!

მღვდელი. მეც თქვენთან დავლევ, რამეთუ ჩემგან კურთხეულ იქნა სახლი იგი, ღვთისაგან მიჩნეული, ვითარცა...

ბელზებელი. რა ვითარცა, მითარცა! თავი დაანებე მაგ საეკლესიო ლაპარაკს! შენ აქ ეშმაკებთან ხარ, წმინდანებთან არ გეგონოს შენი თავი! დავლიოთ ყველამ!

ბარონესა (ალექაჯას). სულიკო, თქვენც აქა ხართ? რატომ არ მოდით დღეს დიდ საცეკვაო დარბაზში? მე იქ ახალ ცეკვას ვაჩვენებდი მოწაფეებს.

ალქაჯა. ახალ ცეკვას? მე გაჩვენებ თქვენ, როგორ უნდა ცეკვა თუ ჩემ ქმარს არ ჩამოსთხოვიხარ, მოგკნეტამთ მაგ ცხვირს ძირში! ყურებს ავაგლეჯთ! ყბას გვერდზე მოგინგრევთ! (მივარდება საცემათ).

ბარონესა. (ეფარება ავეჯებს). მომაშორეთ ეს გადარეული, თორემ დავბეგვავ! როგორ მიბედავს მე მაგი შეურაცყოფის მოყენებას! გამეცა იქით, შენ კუდიანო მქარჩხაო! მე ბარონესა ვარ, კეთილშობილი ქალი, იცი ეს შენ თუ არა!

ალქაჯა. კეთილ შობილი კი არა სპეკულიანტკა ხარ, ბურჟუიკა, გათახსირებული!

ბელზებელი. დაჩუმდით! როგორ ბედავთ ჩემთან ჩხუბს და ლანძღვა-გინებას?

მღვდელი. რა გაჩხუბებთ, შვილებო? რათ არა სვამთ სასმელსა საცხონებელსა სულისასა? მომბაძეთ მე, თქვენსა მწყემსსა, სამწყესო ჩემნო!

ალქაჯა. შენ თუ გინდა იყავი. მწყემსი, მარა ჩვენ არც შენი ცხვრები ვართ და არც შვილები!

ბელზებელი. გაჩუმდით მეთქი, არ გესმით? დაასხით ღვინო! შვიდმუცელაძე, დავლიოთ და გადავკოცნოთ ერთმანეთი მეგობრულათ!

შვიდმუცელაძე. დავლიოთ, ბელზება, დავლიოთ! (სვამენ და კოცნიან ერთმანეთს).

მეფისტოფელი. ხუცესო, მოდი მე და შენც დავლიოთ და გადავკოცნოთ!

მღვდელი. კეთილი, შვილო, კეთილი! რატომაც არა! „ესე არს სისხლი ჩემი, მიიღეთ და სვით“... (სვამენ და ჰკოცნიან ერთმანეთს).

მეფისტოფელი. (გააფურთხებს). ვერაფერი სასიამოვნოა ეშმაკისთვის ხუცესის გადაკოცნა!

ბელზებელი. რატომ, შე ბრიყვო! ხუცები ჩვენი საუკეთესო მეგობრები არიან! მამაო, მე ჩემ ბიჭს გამოგიგზავნი შენს სამრევლო სასწავლებელში. დაუბნელო იქნება გონება, თორემ რაღაცა სიბრძნისკენ მიიწევს ამ ბოლო დროს ის ყურმუსაღი!

მღვდელი. გამომიგზავნე, შვილო, გამომიგზავნე და ნახავ, თუ ერთი კვირის შემდეგ არ დავაჯერო, რომ დედა-მიწა სამ გველეშაპზეა დაყრდნობილი და მზე, მთვარე და ვათსკვლავები ცაზე არიან ჩამოკიდულნი.

ბელზებელი. ძალიან დახელოვნებული კი ხართ ხუცები ტყუილებში აი! უნდა მოგაბაროთ შენ ჩემი ეშმაკები გასაწვრთნელათ, თორემ ძალიან ჩამორჩენ ცხოვრებას.

შვიდმუცელაძე. რაც მართალია, მართალია, ბელზება! ძალიან ჩამორჩენილი ხართ! მაგრამ არა უშავს რა, ჩვენ გაგანათლებთ! ზოგი რამ ხომ უკვე გასწავლეთ? აი, მაგალითად, ქეიფობა, არაყის გამოხდა...

ბარონესა. ტანგოს ცეკვა, ბანქოს თამაში! ხვალ კიდევ ახალი საცეკვაო სკოლა უნდა გავხსნა. ხომ შეიძლება ბატონო ბელზებელო?

ბელზებელო. შეიძლება, ბარონესა ყველაფერი შეიძლება, შენი ხათრისთვის, დავლიოთ!..

ბარონესა. ჩაცმაც ხომ ჩვენგან ისწავლეთ? ნახეთ, როგორ გიხდებათ სამოსელი! ეშმაკებს კი არა ბარონებს და მარკიზებს გეეხართ ეხლა ყველანი!

მდივანი (ეშხიანათ). როგორ ატყობთ, ბარონესა, ეს ფრაკი უხდება ჩემს სახეს?

შვიდმუცელაძე. სახეს კი არა დრუნჩსა თქო ჩემო კეთილო, დრუნჩ სათქო, ასე სთქვი!

ბარონესა. ძალიან გიხდებათ, ჭინკა ჭინკასძევ, ძალიან! თქვენ ეხლა პირდაპირ სულიკო ხართ?

(შემოდიან: ბუშტაძე და ბირჟევიკი).

ბუშტაძე. ყველანი აქ არიან! ძალიან კარგი! ჩვენ ეს არის ეხლა გავათავეთ სხდომა ჯოჯოხეთის ტრესტში. მიღებული იქნა მთელი რიგი ახალი დადგენილებები.

ბირჟევიკი. იცით, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კუპრს მიუმატოთ ფასი. აგრეთვე მიღებული იქნა დადგენილება, რათა მთელი შეშები ტრესტმა შეიძინოს. ამ დღეებში ავამუშავებთ კიდევ ერთ საყინულეს.

მეფისტოფელი. მე რას მიპირებთ მერე, თუ მთელი შეშები თქვენ წაიღეთ,—რითი უნდა გზრაკო მე თქვენ, ცოდვილებო?

ბუშტაძე. თითონ არ შეიქნე სახრაკავი, იმას უფრთხილდი?

ბელზებელი. მართლა, როგორ შეიძლება ჯოჯოხეთი უშეშოთ? რაღა ჯოჯოხეთი იქნება ეს? მარაოები, საყინულე...

ბარონესა. ბელზება, გეთაყვა, როგორ შეიძლება სახლში ასეთი სიცხე? პირდაპირ სულშმხუთავათ ცხელა! (იგრილებს მარაოთი).

შვიდმუცელაძე. სიგრილის დროს მუდამ შეიძლება შესახურებელი საშვალების მონახვა! საკმაოა ერთი ბოთლი ჩვენი ტრესტის საუკეთესო არაყი. შემიძლია ყოველ დღე მოგაწოდოთ. ეს ძვირი არ დაგიჯდებათ. მე მხოლოდ ათ პროცენტ მოსაგებს უმატებ საქონელს, მეტს არა!

ბელზებელი. კიდევ ათ პროცენტს?! უმისოდაც საშინელი ძვირია საქონელი და ჩემი ეშმაკები საცაა უკანასკნელ შალვარს დაგაგრავებენ სამიკიტნოში!

შვიდმუცელაძე. რა გაეწყობა, ბევრი დამატებითი ხარჯები გვაქვს და არ შეიძლება ფასი არ ავსწიოთ, მართლა, თქვენს ვექსილებს ვადა გაუვიდათ. გარდა ამისა, თქვენი სახელწოდების დღეს რომ ექვსი კასრი არაყი წამოიღეთ, იმისი ფასიც არ გადაგიხდიათ. აგრეთვე ბანქოში რომ წააგეთ, ისიც მოუცელი გაქვთ!

*) დასასრული. იხ. „ჩირაღდანი“ № 9—10

მღვდელი. არც მე მიმიღია ეშმაკის ბებიას სულის მოსახსენებელი პანაშვიდის გადახდისთვის და აგრეთვე ბეღადი ეშმაკების ქოჩორის ამოსასველელ ლოცვებისათვ:ს!

ბარონესა არც მე მიმიღია ჯერ საეკეკვაო სკოლის შესანახი ხარჯები!

ბელზებელი (სასოწარკვეთილებით). სად ვიშვენო მერე მე ეხლა ერთბაშათ ამდენი ფულები? წარსულ კვირაში ბირჟაზე ორ სპეკულიაციაში იმდენი დავკარგე, რომ ხაზინა სულ დამცალიერდა. გუშინაც ოცდა ერთის თამაშში ბედმა არ გამიღიმა!

ბირჟევიკი. ასეთი დროებითი ქესატობიდან გამოსავალი გზის პოვნა, სულ ადვილი საქმეა თქვენისთანა დიდებული გვამისთვის! გნებავთ, ისე მოვაგვარო საქმე ამ წუთში, რომ ვალებიც გადიხადოთ და ბ.ნქოს სათამაშო ფულებიც ბლომათ დაგრჩეთ?

ბელზებელი. როგორ, რა ნაირათ?

ბირჟევიკი. მომყიდეთ მე თქვენი გვირგვინი სულერთია, ის იმდენად გშვენთ თქვენ, რამდენათაც ძროხას სათვალეები?

ბელზებელი. მე როგორღა დავრჩები მერე უგვირგვინოთ, რა უნდა დავიხურო თავზე?

ბირჟევიკი როგორ თუ რა უნდა დაიხუროთ? რაც სხვებს ახურავთ! განა არ იცით, რომ ეხლა გვირგვინები მოდიდან გამოვიდენ?!

ბარონესა. რომ იცოდეთ, როგორ დაგშვენდებათ თქვენ ცილინდრის ქუდი! ისეთი ლამაზი იქნებით, ისეთი!..

ბირჟევიკი. გნებავთ ერთი ვაგონი ქუდები ჩაგაბაროთ სულ მოკლნ ხანში... ფრანკოჯოჯოხეთი! ეხლა კი შემიძლია ჩემი ქუდი დაგითმოთ დროებით.

ბელზებელი. კარგი, თანახმა ვარ! მხოლოთ იცოდე, რომ ფულები დღესვე უნდა იქნეს,— ერთი საქმე მაქვს განზრახული, ძალიან მოსაგებიანი!

ბირჟევიკი. რა საღაპარაკოა! აი, საწინდარი, მიიღეთ ეხლავე! მოიხადეთ გვირგვინი, აი ჩემი ცილინდრი დაიხურეთ ჯერ!

ბელზებელი (იხურავს ცილინდრს). მომეცით სარკე, ვნახო, მიხდება თუ არა?

ალქაჯა (მიაწოდებს თავის სარკეს). ინებეთ თქვენო ჯოჯოხეთურო უდიდებულესობავ.

ბარონესა. როგორ უხდება ეს ქუდი, რა ეშხიანია! მე სიამოვნებით მივთხოვდებოდი ცოლათ მას!

ბუშტაძე. ვის? ეშმაკს?!

ბარონესა. რა უყოთ მერე, ეშმაკი რომ არის? სამაგიეროთ როგორი ღირსება აქვს: ჯოჯოხეთური უდიდებულესობა!

ბუშტაძე. გაუარშიყდით, იქნებ მართლა შეგრთოს! მაშინ დასტყუებდით მას ახალგაზრდა ეშმაკების ექსპლოატაციის ნებართვას! ე ჩვენი ტრესტისთვის ძალიან ხელსაყრელი საქმე იქნებოდა!

ბარონესა. ვეცდები!.. თქვენო ჯოჯოხეთურო უდიდებულესობავ! ახალი თავის მოსართავის შეძენის გამო, თქვენზე მაყარიჩია! წავადეთ „ქიმერიონის“ სარდაფში საქეიფოთ!

ბელზებელი. დიდი სიამოვნებით! წავიდეთ! მეფისტოფა, გამომყე უკან!

მეფისტოფელი. უმორჩილესად ვასრულებ თქვენს ბრძანებას! დროა წავიქეიფოთ, თორემ არყის ოხშივარი განელდა ძარღვებში!

(მიდიან ღრიანცელით, გარდა ბუშტაძისა, შვიდმუცელაძისა და ბირჟევიკისა).

ბუშტაძე. რას იტყვით მეგობრებო, ხომ კარგათ მიდის ჩვენი საქმე.

შვიდმუცელაძე. არაფერი გვაქვს სასაყვედურო. დედამიწაზე ნაკლებ ჯოჯოხეთშიდაც არ ვატრიალებთ საქმეებს!

ბირჟევიკი. შედარებაც კი არ შეიძლება! დედამიწაზე ათასჯერ უკეთესი აქ არის. ნუ დაგავიწყდებათ, რომ აქ „ჩეკა“ სრულებით არ არსებობს!

ბუშტაძე. ხო, მართლა!.. ჩვენი ტრესტი მუშაობს ძალიან წარმატებით და ხელში იგდებს ჯოჯოხეთის ყველა ეკონომიურ დარგებს, მარა ეს არ კმარა! ჩვენ აწი დროა ვიფიქროთ პოლიტიკურ უფლებების ხელში ჩაგდებაზედაც! ტრესტის საწარმოო დაწესებულებებში მომუშავე ეშმაკები გამოსთქვამენ უკმაყოფილებას...

ბირჟევიკი. ხოლერასაც გაუწყვეტია ისინი! ნეტა რითი არიან უკმაყოფილნი?

ბუშტაძე. ამბობენ, რომ ჩვენ მეტისმეტ ექსპლოატაციას ვეწევით მათ შრომაზე! ცოდვილები თითქოს ცუდათ ეპყრობიან მათ და იქადებიან გაფიცვით, თუ პირობები არ გავუჯობესეთ და ჯამაგირები არ მოუმატეთ.

შვიდმუცელაძე. არამც თუ იქადებიან,— სამი დღის წინათ არყის სახდელ ქარხანაში ორმოცი ეშმაკები გაიფიცნენ კიდეეაც. მარაოების ფაბრიკაში ჯამაგირების მომატებაც კი მომიხდა, რადგანაც საჩქაროთ შესასრულებელი შეკვეთილება იყო მიღებული. გაფიცვის დაშვება უფრო საზარალო იქნებოდა...

ბუშტაძე. ტრესტის გამგეობისთვის უნდა მოგეხსენებია, მეგობარო, იქნებ სხვა რამე საშუალებას გამოსძებნიდა, ვიდრე ჯამაგირის მომატებაზე დასთანხმდებოდა.

შვიდმუცელაძე. აბა რა გამოსავალს იპოვიდა ტრესტის გამგეობა? მინდოდა სამოთხიდან პოლიცია მომეწვია,—იქ ნაცნობები მყვანან,—მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე. გაიგებდენ სამოთხის უცოდველნი ჩვენს აქაურ ცხოვრების შესახებ და ყველანი მოაშურებდენ ჯოჯოხეთს! გაგვიჩნდებოდენ უამრავი მეტოქეები: გრაფი ვიტე არაყის მონოპოლიას შემოიღებდა, გრიშკა რასპუტინი ქალებს გადიბირებდა თავისკენ...

ბუშტაძე. ეს მართალია! რატომ აქ ჩვენი საკუთარი პოლიცია არ უნდა მოვაწყოთ? მართალია, ყოფილი პოლიციელების უმრავლესობა პროტექციების საშვალებით სამოთხეში გაძვრენ, მაგრამ აქაც მოიძებნებიან ზოგიერთები.

ბირჟევიკი. ეს ბრწყინვალე აზრი არის! თუ კი ჩვენი პოლიცია გვეყოლება, მაშინ ეშმაკების ყველა მოთხოვნილებებს შეგვიძლია მივაფურთხოთ!

შვიდმუცელაძე. იმ წუთში უჩასტკაში მიგაბრძანებ?თ, თუ არა და თოკიც შეიძლება კისერში?

ბუშტაძე. ჩვენი მოსაგები ამ წელში, ჩემი ფიქრით, ზორბა უნდა იქნეს, მარა მოსაგების ანგარიშზე ჩვენ წარმოება უნდა გავაფართოვოთ. მე წინადადება შემაქვს გამგეობაში, რათა გაეხსნათ კიდევ ერთი საყინულე ქარხანა, ერთი მარაოების ფაბრიკა და ერთიც ლუდხანა.

ბირჟევიკი. აგრეთვე უნდა გავხსნათ ერთი აზბესტის კალოშების ქარხანა უსათუოდ. ცხელ ტაფებზე სადგომათ აზბესტის კალოშები უებარი იქნება. გარდა ამისა... ეს რა ხმაურობა ისმის?

(გარეიდან ისმის ხმაურობა, რომელიც თანდათან ახლოვდება),

შვიდმუცელაძე. ალბათ ეშმაკები დათვრენ არაყით და ჩხუბობენ.

ბუშტაძე. მე კი ვფიქრობ, რომ..

(შემორბის მღვდელი).

მღვდელი. შვილებო, მიშველეთ, დამიფარეთ, დამფარეთ სადმე! მოდიან!..

ყველანი. რა მოხდა, რაშია საქმე?

მღვდელი. მოდიან... ეშმაკები აჯანყდენ ჩვენს წინააღმდეგ! დამინახეს მე და მიყვირეს: „არ გაუშვათ, ეს ფაშვიანი! ეჯოჯა, რაც იქ ადამიანებს ატყუილებდა, ჩვენ აღარ მოვატყუილებიებთ თავსო“. გესმით, გეყურებათ, როგორ ღრიალებენ!

შვიდმუცელაძე. სამიკიტნოები არ დალეწონ მაგ ოჯახქორებმა, თორემ სხვას თავი დავანებოთ!

ბირჟევიკი. სალარო, სალაროს არ მიაგნონ, თორემ დეევიღუპებით!

ბუშტაძე. ნუ ღელავთ, დაწყნარდით! მე ეხლავე დაურეკავ ერთ ადგილას და დაუყონებლივ იქნება მიღებული შესაფერი ზომები. მე ვგრძნობდი, რომ ეს მოხდებოდა და ამიტომ დროზე მქონდა თადარიგი მოხდენილი.

ბირჟევიკი. მაშ ნუღარ აყოვნებთ ხანს,— ჩქარა დარეკეთ!

ბუშტაძე. (იღებს ხელში ტელეფონის მილს). ალლო! სადგური? მომეცით ცამეტი ორი ნული. გმადლობთ! ვინ არის ტელეფონთან! ალლო! ბატონი თეოდოგდებიაძე? ძლიერ სასიამოვნოა! აი რა, მეგობარო! აქ ჯოჯოხეთში, ცოტა ეშმაკები მიჰქარავენ რაღაცას და თუ შეიძლებოდეს ერთ წუთში წამოგვახმარეთ თქვენი ჯეელები იმათ დასამშვიდებლათ. შეიძლება? მაშ ცოტა ჩქარა, გეთაყვა. ნახვამდის! შემოიარეთ როგორმე საუზშეზე!

შვიდმუცელაძე. რაო, მოგვეშველებიან?

ბუშტაძე. ფიქრი ნუ გაქვთ! რამდენიმე წუთის შემდეგ ისეთი სიწყნარე იქნება, როგორიც იმ ქვეყნათ სასაფლაოზეა ხოლმე!

(შემორბიან: ბელზებელი, ბარონესა, ალქაჯა, მეფისტოფელი, მდივანი)

ბარონესა. ღმერთო ჩემო, ეშმაკო ჩემო! ისინი ჩვენ დახოცვას გვემუქრებიან!

ალქაჯა. ნუ გეშინიათ, თქვენო უდიდებულესობავ: თქვენ ერთხელ უკვე წაიხრჩ... მიიცვალეთ, მეორეჯერ აღარ მოკვდებით!

ბუშტაძე. თქვენო უდიდებულესობაო! ეს რას ნიშნავს?

მღვდელი. ბარონესა მისახოვდა მის უდიდებულესობას, ჯოჯოხეთის მეფე ბელზებელს! ჯვარი მე დავსწერე.

მეფისტოფელი. მე შაფერათ ვიყავი!

ალაქაჯა. მეც!

ბირჟევიკი. რა დროს ქორწილია! ქუჩაში რა ხდება, თქვენ ის გვითხარით!

მდივანი. ეშმაკები აჯანყდენ თქვენს წინააღმდეგ! ამბობენ, რომ წინეთ ჩვენ ვხრაკადით ცოდვილებს, ახლა ლამის არის ცოდვილებმა ჩვენ მოგვხრაკონო? ისეთი აღელვებული

არიან, რომ კინაღამ ბელზებელი მიბეგვეს ეხლა გზაში!

ბელზებელი. (დაღვრემით). მემართლებიან კიდევაც! ჩემი ბრალია ყველაფერი! ეშმაკები კი არ.ა, ეს გაბერილი ბურჟუები ბატონობენ ახლა აქ! ნახეთ ერთი, რას დაემსგავსა ყველასაგან ცნობილი და პატივცემული ჯოჯოხეთი! რაღაც სამკიტნოებათ, ბანქოს სათამაშო სახლებათ, საცეკვაო კლუბებათ გადაიქცა!

ბარონესა. დამშვიდდი, ჩემო მეუღლე, დამშვიდდი!

ბელზებელი. დაიკარგე ჩემს ბებიასთან! გამშორდი, არ მინდა მე შენისთანა ცოლი!

ბარონესა. ვაი მე, ვაი მე! (ვითომ გულ წასული ეყრდნობა მდივახის მკლავებზე. მაგრამ ეს უკანასკნელი არ იკარიებს და ისევ წამოდგება). უნამუსო! უსინდისო! დღესვე გავიყაროთ! არც მე მინდა შენი ცოლობა! გესმით, მოწყალეო ხელმწიფევ!

ბელზებელი. ეხლავე გავიროთ და ეხლავე მიბრძანდით ტაფაზე სახრაკავათ, ქალბატონო! თქვენც, ვაუბატონებო! თქვენს ტრესტს მივკეტავ და ყველაფერ ქონებას ჩამოგართმევთ! შეშას და კუპრს თქვენდა სახრაკავათ გამოვიყენებ! შენ, ე. ი. ბირეევიკო! დამიბრუნე ეხლავე ჩემი გვირგვინი და თავში იხალე შენი ცილინდრი!

ბუშტაძე. თქვენ რაღაც მეტის მეტათ გაგულისებული ხართ, ბატონო ბელზებელო! ალბათ ფიქრობთ, რომ თქვენი ეშმაკები მოგვერევიან, მაგრამ ეს კიდევ კითხვაა, ვინ ვის დასძლევს!.. (გარედან ისმის ხმაურობა). მგონი კიდევაც მოგვისწრეს მაშველებმა!

შვიდმუცელაძე. (იცქირება გარეთ) შეხედეთ ერთი, ნახეთ, რა მამაცათ იბრძვიან ჩვენი ჯეელები! ოხოო, მათრახებით სულ ბდღვირს ადენენ ეშმაკებს ზურგზე! დახეთ, დახეთ, გაიქცენ კიდევაც ეშმაკები, გარბიან, მოკურცხლეს კუდ ამოძოებულებმა! ერიჰა-ა!.. ჰა მაგათ!

ბირეევიკი. მორჩა და გათავდა ეშმაკების საფრთხე!

ბუშტაძე. რას იტყვით ეხლა, ბატონო ბელზებელო? ჩაიკმიდეთ ხმა, განა! ვინა ვართ ეხლა ჩვენ,—თქვენი სახრაკავი მასალა, თუ თანასწორი წევრები ჯოჯოხეთის ტრესტის?!

მეფისტოფელი. აპატიეთ ბატონებო? ეს მას სიბრიყვით და თან ეშმაკების შიშით მოუვიდა! აწი აღარ იზამს!

ბელზებელი. ღმერთმანი... ეშმაკმანი, აწი აღარ ვიზამ მეტს! ეს ერთი დამემართა სიბრიყვე, აწი აღარ მომივა ასეთი რამ!

მღვდელი. შვილნო ჩემნო, მიუტევეთ შეცოდებანი მისნი, ნებითნი და უნებლიესნი. დავლიოთ ნეკტარი ესე ჟამსა სიხარულისა!

ბუშტაძე. კარგი! გვიპატიეთ! მხოლოთ პირველათ და უკანასკნელათ! ეშმაკმა წაიღოს მაგის თავი და ტანი! ეი, მეფისტოფა! მდივანო! ყველამ გამსეთ ჭიქები! ჩვენი გამარჯვებისა იყოს! დასცალეთ ძირამდე!

შვიდმუცელაძე. ბატონებო, ვსვამ ჯოჯოხეთის ტრესტის წარმატებისთვის! ქვეყანაზე ბატონობს მუშა და გლეხი, ჯოჯოხეთში კი ცოდვილთა ტრესტი! ვაშა!

ყველანი. ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს ჯოჯოხეთის ტრესტს!

შვიდმუცელაძე. აწი კი არაფრის შიში არ უნდა გვქონდეს! ეშმაკები მოვთურგნეთ, ტრესტი გავაფართოეთ, ჩქარა პოლიციას დავაარსებთ! ტაში, მეგობრებო! ტაში! დაუაროთ დაღლური!

ბუშტაძე. ოხ! ერთი ბალშევიკვის კამისრები ჩამიგდო ახლა ხელში, ვაჩვენებდი თამაშს! ტაში! იცეკვეთ! დალიეთ! (ყველანი უკრავენ ტაშს, ცეკვობენ, სვამენ,—საერთო მხიარული ღრიანცელია. გაიღება კარები და გამოჩნდებიან ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები).

ერთი ახალგაზრდა. ეი, თქვენ ეშმაკებო და ბურჟუებო, რა ამბავში ხართ აქ?!

ყველანი. ვინა ხართ თქვენ, აქ რა გინდათ?

ახალგაზრდა. ჩვენ ვართ ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები! თქვენი უკანასკნელი საბუდარის დასანგრევათ მოვედით!

ყველანი. ვაიმე!!!

(ერთხანს გაშეშებული დგანან, შემდეგ აქეთ-იქით ეხეთქებიან).

ფარდა

მთარგ. ხ. თოდრია.

მეგობრეგთან საუბარი

მეგობარნო, სულის სწორნო,
ყური მიგდეთ, რა გახაროთ,
რაც გინდ ვნახოთ სიდუხჭირე
ქედი არვის მოვუხაროთ!
გახსოვთ მზე რომ არ გვნათობდა,
ბნელში ვიყავთ განაბული,
ეშმაკები გარს გვეხვევნენ,
მათ ხელთ იყო ჩვენი სული.
ბნელ ჯურღმულში გვატარებდნენ
ტარტაროზის აგ ბრძანებით,
თავზარს გვეცემდნენ, გვაშინებდნენ,
ბან სიკვდილით, ბან წამებით!
ცამ უეცრივ გაიელვა,
გადმოფანტა ნაპერწკალი,
ალქაჯების სამეფოში
აგუზგუზდა ცეცხლის ალი.
გრდემლზედ კვერი ახმაურდა,
ამოძრავდა მშრომელთ ხელი,
გარიჟრაჟის ზარმა დაჰკრა,
დღემ დასძლია ღამე ბნელი.
მზემ თვალები აახილა,
ველს მოჰფინა უხვად სხივი,
ტარტაროზი ეშმაკებით
გაჰქრენ იმედ განაცივი.
და ამ დღიდან შრომის შვილნო
ჩვენც დავლეწეთ ბორკილები,
თანაგრძნობით, მტკიცე ძმობით,
აღთქმულ ქვეყნის განელოთ გზები.
მტრები, ჩვენგნით დევნილები,
გარდაიქცნენ მგესლავ გველათ,
რომ სიცოცხლე მოგვიშხამონ—
დაძვრებიან ტყე და ველად.
და მიტომ გთხოვთ მეგობრებო,
ქედი არვის მოვუხაროთ,
წითელ დროშის ქვეშ მაშვრალებს
ერთად თავი მოვუყაროთ!

მუშა გ. შინატეხელი.

მუშის დღიურიდან...

I

ქარხანა... სამეედლო... ცეცხლი და რკინები...

დადიან შავი ხალხი ლანდებათ ქცეულნი...

მოსჩანს მკერდები ოფლ დანადინები...

დაღარული, დამწვარი შანთების ანარეკლით...

გრდემლების ხმაური, არღვევს ჰაერს, ხმის ამოღებას ვერავინ ჰბედავს...

მოფერმკრთალე ცეცხლი ესალბუნება დასვედილ სახეებს...

— ვინ იცის კიდევ რამდენს დააღამებდნენ ასეთ შავ დღეებს...

მაგრამ გაისმა ხმა, ხმა მტკიცე, ხმა ხალხის გულიდგან ამონახეთქი...

„ვინა ვართ ჩვენ?“

— ვისთვის ვქნნით სასახლეებს, ვისთვის ვღვრით ოფლს, ვის ვწირავთ სიცოცხლეს?.. ნუ თუ ჩვენ არ გვინდა თავისუფლად ამოსუნთქვა... ნუ თუ ჩვენ ვერ დავსტკბებით ბრწყინვალე მზის სხივებით?..

— თქვენ ხართ მონები, თქვენ ვერ იხილავთ თავისუფლების წინამორბედს!..

უპასუხებდენ ხარხარით...

თქვენ უნდა იშრომოთ მუდამ... ცხელი ოფლი აპკუროთ რკინებს, გავარვალებულ შანთებს მკერდები უნდა მივუშვიროთ, რომ დაგწვასთ—რითაც ჩვენ დავსტკბებით...

— ჩვენ არ ვართ მონები, იყო პასუხი, ჩვენ ცრემლებს არ დავიდინებთ, ჩვენ ვართ ვულკანნი, რომელიც აღმოხეთქავს ერთ დროს და.. ყველას ჩანგთქავსთ...

...და მატულობდა ღელვა...

II

დროითა სრბოლა ნთქავდა ყველაფერს... ახალი სიცოცხლე კი განთიადს მოყვებოდა...

უკუნეთ სიბნელეს ელფერი ეკარგებოდა, თრთოდა... ფითრდებოდა...

ტოკავდა ასიათასთა მკერდი...

ცის ტატნობს სიწითლე ეპარებოდა...

„ვინა ვართ ჩვენ?..“

კვლავ გაისმა ხმა, ხმა მეედგარი, ხმა, რომელმაც შეაძრწუნა შავი ბნელეთი...

— ჩვენ არ ვართ მონები!.. ისმოდა ხმები.

საუკუნოებით ტანჯვამ ახალი ნაყოფი გამოიღო, რომლიც ჩვენ დავსტკბებით...

...და შეინძრა სიბნელე... ცეცხლის კოკონი მოედო მთელ არე-მარეს, დაჰფარა სამყარო... დასწვა და შთანთქა...

აკრვლდენ ბებერი ღმერთები, ვულკანის ღველფმა გაუსწორა ყველაფერს..

ამოცურდა ჰორიზონტზე ბრწყინვალე მზე. მზე სიცოცხლის, მზე თავისუფლების, გადაჰხედა დედა მიწის დასისხლულ მკერდს, რომელსაც უხვად დაეაბნია თავისი გამაცოცხლებელი სხივები, განთავისუფლდა ხალხი, მან იცნო თავი და თავის ბედის საკე თვით აიღო ხელში.

...აღმოცენდა ახალი სიცოცხლე და ახალი ცხოვრება. გამარჯვების ზეიმი ჯერ კიდევ არ მოსწყენია დედა-მიწას. ის დღეს ერთ მეექვსედზე თავისუფალია.

დავით გელა.

ooooooo

მებრძოლთ რიგებში

I. გაფიცვა სტამბაში.

1900 წელს მე ვმუშაობდი „ქართველთა ამხანაგობის“ სტამბაში, ვანქის ქუჩაზე, სადაც იმ დროს მუშებმა მოვახდინეთ გაფიცვა. გაფიცვის მიზეზი იყო ჯამაგირებისს დროზე მიუღებლობა.

ხსენებულ სტამბაში იმ „კურთხეულ“ დროს ხუთი წელი ვიმუშავე და ამ დროს განმავლობაში სულ ვაი-ვაგლახით ვიღებდი ჯამაგირს.

დადგებოდა შაბათი, ჯამაგირის დარიგების დღე, ველოდით ფულს; ამ დროს გამოვიდოდა ვილაც და გვეტყოდა:

— დღეს ფული არ არის, სამშაბათს მიიღებთ ჯამაგირს...

ორშაბათისათვის არ გვპირდებოდენ, რადგან, ვინ არ იცის, რომ ორშაბათი „ნავსი“ დღეა და ამ დღეს ფულის დარიგება არ შეიძლება—„ხაზეინების“ აზრით...

იმ ხანებში აქა-იქ უკვე ხდებოდა გაფიცვები და მუშათა მოძრაობა თანდათან ცხოველდებოდა. მაშინდელი პოლიცია-ჟანდარმები ფეხზე იდგენ და გაფაციცებით ადევნებდენ თვალ-ყურს ამ მოძრაობას. ჩხრეკა-დაპატიმრებაც ხშირი იყო მუშათა შორის. საუკეთესო მუშები ციხეში ისხდნენ და ელოდენ იქიდან განთავისუფლებას, რომ უფრო ენერგიულად შესდგომოდენ მუშათა განთავისუფლების საქმეს.

მართლაც, ის მუშები, რომელნიც უკვე იყვნენ ციხეში და გამოვიდენ, უფრო მედგრად განაგრძობდენ ერთხელ დაწყებულ საქმეს და სრულიადაც არ ეშინოდათ დაჭერის.

როცა ჩვენს სტამბაში მოხდა გაფიცვა, მაშინ ჩვენც მოგვხედეს თავისი მოწყალე თვალით მაშინდელმა ჯაშუშებმა და სულ უკან დაგვდევდენ—ურცხვად, დაურიდებლად; სადაც ჩვენ მივდიოდით, ისინიც იქ გაჩნდებოდენ ხოლმე.

— აბა, მზად იყავით, „ვირის აბანო“ მზად არის,—სთქვა ერთხელ მუშა ნიკა ოქროპირიძემ, რომელსაც ხუმრობა უყვარდა.

— ნუ გეშინია, ნიკა,—გავამხნევე მე,—რაც მოგვივა, მოგვივიდეს.

— მე რისა მეშინიან,—მომიგო ხუმრობითვე,—მე ერთი ავლაბრელი კინტო ვარ *), შენ გეშინოდეს, რომ ვიწრო შარვალი გაცვია, გრძელი თმები გაქვს და თავზეც ქოჯე გხურავს... ჩვენ ორში, ვინც მალე ამოყოს თავი „ვირის აბანოში“, მალარიჩი იმან იყიდოს...

ჩვენმა გაფიცვამ დააფაცურა სტამბის ადმინისტრაცია, საჩქაროდ იშოვნა ფული და დაურიგა მუშებს.

როდესაც მე დავთარში ხელი მოვაწერე და ფული მივიღე, ადმინისტრაციამ დათხოვნილად გამომაცხადა და მეც მოვშორდი იმ სტამბას.

I. ხანდრო ვაჭარი.

იმ დროს მე ვცხოვრობდი მუხრანის ქუჩაზე ჩემ დეიდაშვილ ელისაბედ გოგინოვთან, რომლის ქმარი—სანდრო გოგინოვი, ხელობით წვრილი ვაჭარი, ძლიერ გულკეთილი და გულრბილი ადამიანი იყო. ყველა ებრალებოდა, ყველასთვის სწუხდა. სწუხდა—ბევრ ხალხს ატუსაღებენო.

მე ის გავაფრთხილე—თუ მიკითხონ პოლიციელებმა დღე ან ღამე, არ შეგეშინდეთ-მეთქი.

საბრალო სანდროს ფერი ეცვალა.

— ბიჭო, ჭკუით იყავი, არ დაგიჭირონ,—მითხრა სანდრომ.

მე ავუხსენი, რომ საშიში არაფერია-მეთქი და სანდროც გამხნევდა, მაგრამ მაინც ჰქონდა კიდევ შიში.

— გიგა *) სახლში არის?—უპირველესად ამას ჰკითხავდა ცოლს საღამობით სახლში დაბრუნების დროს.

— იცი, გიგა, რა გითხრა,—მომმართა ერთხელ სანდრომ,—შენ ხომ ყველგან ნიკოს გეძახიან, ალბად პოლიციელებიც ნიკოს მოიკითხავენ; თუ მე შევხვდი, ვეტყვი აქ არავინ ნიკო არ არის-მეთქი, და თუ საჭირო დარჩა, თავს იმითი გავიმართლებ, რომ ჩვენ შენ გიცნობთ „გიგათ“ და არა „ნიკოთ“.

— გვარი რომ, გკითხონ?—ვკითხე მე.

— გვარი?—ჩაფიქრდა სანდრო,—მე შენი გვარი არ ვიცი! მე ვიცი შენი გვარი ასლანოვია, თუ სხვა გვარი მკითხეს, არ ვიცი მეთქი, ვუპასუხებ.

III. ჟანდარმები სტუმრად.

ამ ლაპარაკის შემდეგ გავიდა ერთი კვირა. აივანზე ვიჯექი და ვკითხულობდი „ლუკმა პურის ამბავს“, რომელიც გადმომცა მბეჭდავმა ერასტი ჩანთლაძემ. ერასტი ჩანთლაძეს თავის ბინაზე ჰქონდა პატარა წრე, სადაც დროგამოშვებით ვიყრიდით თავს და ვისმენდით ლექციებს. ეს იყო, თუ არ ვცდები, გეიდენოვის ქუჩაზე, კუკიაში. ერასტის წყალობით რამდენიმე წიგნი წავიკითხეთ ამხანაგებმა.

როდესაც გავათავე „ლუკმა-პურის ამბავის“ კითხვა, შევინახე ჩვეულებრივ საიდუმლო ადგილას. ეს ადგილი იყო აივანზე იატაკის ფიცრებს შუა პატარა ნაჭვრეტში, საჩაიე მაგიდასთან. წიგნზე ვაბამდი წმინდა ძაფს და ვუშვებდი ნაჭვრეტში, ხოლო მეორე წვერს ძაფისას ვამაგრებდი ნაჭვრეტის ნაპირს ოდნავ დანით ანათალს.

ხსენებულ დღეს ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც გაისმა აივანზე კარის რახუნი. ეს აივანი გადიოდა ეზოდან პირდაპირ ქუჩაზე და კიბით ჩადიოდა ძირს.

მე, როგორც ყოველთვის, ახლაც აივანზე მეძინა. გულმა ფანცქალი დამიწყო და გავნაბე სული; საბანი თავზე წავიფარე. სანდროს, რომელიც ოთახში იწვა, გამოღვიძებოდა კარის ბრახუნზე და წავიდა კარის გასაღებად.

— ვინ არის?—დაუძახა სანდრომ.

-- პოლიცია!—იყო პასუხად.

მე გადავწყვიტე თავი მომემძინარებინა მანამდე, სანამ თვითონ პოლიცია მოვიდოდა და გამაღვიძებდა.

სანდრომ გაალო აივნის კარი. ფეხის ხმაზე ეტყობოდა, რომ პოლიციელები ბლომად იყვნენ.

— Здесь живет Асламазов?—მოისმა ჟანდარმი ლავროვის ნაცნობი ხმა.

— Асламазов?—ჰკითხა სანდრომ და ხმაზე ეტყობოდა, რომ შეშინდა.

—Николай Асламазов, наборщик?—განუმეორა ლავროვმა.

— Какой Николай, какой Асламазов? ниату, ниату!—ეუბნებოდა სანდრო.

რაკი შევატყე, რომ საქმე ცუდათ არის, თავი წამოვყავი და დავიძახე აქა ვარ-მეთქი.

— სწორედ ეს არის,—წამოიძახა ლავროვმა და სანდროს შეხედა.

— აკი აქ არ არისო!—მრისხანედ შემოხედა სანდროს ჟანდარმმა.

— ვა, ეს ნიკალა ხომ არ არის? ეს გიგა ასანოვია!—იძახდა შეშინებული სანდრო. ჩემი მხრით მეც დავამოწმე, რომ სანდრომ მართლა არ იცის თუ ჩემი სახელი ნიკოლოზია, რომ მთელი ოჯახი მე მიცნობს მხოლოდ „გიგათ“ და დედაჩემიც კი „გიგას“ მეძახდა; ამ ქუჩაში ყველა ნაცნობები „გიგას“ მეძახიან, ხოლო სტამბაში და სხვაგან, ამ უბნის გარეშე, ყველგან „ნიკოს“ მეძახიან მეთქი.

ლავროვი ამით არ დაკმაყოფილდა. თანაშემწეს უბრძანა მთელი ბინა გაეჩხრიკა, თვითონ კი ორი ჟანდარმით სხვაგან წავიდა და სანდროც ერთი პოლიციელით პოლიციაში გაგზავნა, სადაც იმ ღამეს და მეორე დღესაც იყო დაკავებული.

უშედეგო ჩხრეკის შემდეგ ლავროვის თანაშემწე დაჯდა მაგიდასთან სწორედ იმ სკამზე, რომელიც საიდუმლო ნაჭვრეტზე იდგა. რამოდენიმე კითხვის შემდეგ დაიწყო ოქმის წერა; ოქმზე მეც მომაწერინა ხელი და წავიდენ ჩემი „სტუმრები“.

ელისაბედი ძალიან დაღონებული დარჩა.

— ეხლა მე რა ვუყო, ის კაცი რამოდენიმე თვე რომ აღარ გამოუშვან?—მისაყვედურა მე.

მე გავამხნევე და დავარწმუნე, რომ სანდროს მალე გამოუშვებდენ, და მართლაც, საბედნიეროდ, მეორე დღეს საღამოზე სანდრო უკვე თავისუფალი იყო.

მიუხედავათ იმისა, რომ თენდებოდა, ბავშვები: გიორგი, იაკობი, ვასო, ევა და ვარსენიკა, ყველანი ფეხზე იყვნენ და შეშინებული ერთმანეთს უყურებდნენ.

— დედა, მამა სად წაიყვანეს?—ჰკითხავდა ევა.

— დედა, მამამ რა დააშავა, რომ წაიყვანეს?—იკითხა იაკობმა.

— მამას სცემენ, დედა?—თავის მხრით ჰკითხავდა პატარა ვასო.

— არაუშავს, ხვალ გამოუშვებენ,—ანუგეშებდა ყველაზე უფროსი გიორგი.

შვიდი წლის ვარსენიკა, რომელიც ხშირად იყო დაფიქრებული და მდუმარე, ახლაც დაფიქრებული ერთ წერტილს მისჩერებოდა და არაფერს ამბობდა. ვინ იცის, რას ფიქრობდა

*) ნიკას იმ დროს მართლა კინტოურად ეცვა—მოკლე ახალოხი, განიერი შარვალი და ყელიანი ჩექმები. ბინაც მართლა ავლაბარში ჰქონდა და იქ ცხოვრობდა.

*) ნათესავები ყველანი გიგას მეძახდნენ ნიკოს მაგიერ.

ეს ჭკვიანი ბავშვი; ვინ აცის, ფიქრობდა— მამა რომ აღარ გამოუშვან, ჩვენ რაღა გვეშველებაო.

IV. ბაქოში გამგზავრება.

„ქართველთა ამხანაგობის“ სტამბიდან დათხოვნის შემდეგ მე ვმუშაობდი სხვა და სხვა სტამბებში.

მოვაგროვე რა ცოტა გროშები, გადავწყვიტე ბაქოში წასვლა, მაგრამ ამ ჩემს მგზავრობას წინ აღუდგა ჩემი დეიდაშვილი ილო ბეგთაბეგოვი.

— შენ ხომ გიჟი არა ხარ,—მეუბნებოდა ილო,—ბაქოში რა გინდა! ბაქოდან აქ მორბიან საცხოვრებლად და შენ იქ გინდა წახვიდე? შენ ბაქოს ამბავი არ იცი,—არ სცხრებოდა ილო,—ამ ქალაქთან შედარებით ბაქო ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი!..

— არა, ილიკო, უსათუოდ უნდა წავიდე,— დავიჩემე მე.

— მე ვიცი, რისოვისაც გინდა ბაქოში წასვლა,—ჩაერია სანდრო,—შენ გინდა თავი გაიცალო პოლიციელებს, რომ არ დაგიჭირონ...

— იცი, გიგა,—მომმართა სანდრომ მცირე სიჩუმის შემდეგ,—თუ პოლიციამ მოგიკითხა, მე ვეტვვი, რომ შენ კავკავში წახველი.

— ლიზა,—მიუბრუნდა ცოლს,—შენც ასე უთხარი!

— შენ ახლა აგრე ლაპარაკობ და ჟანდარმებს რომ დაინახავ, მაშინ შიშით დაიბნევი,— დაცინვით უთხრა ლიზამ.

მეორე დღეს საღამოზე სადგურ თბილისიდან დაიძრა მატარებელი, რომელშიაც მე ვიჯექი. ბნელი ღამე იყო. ჩუღურეთს რომ მოადგა მატარებელი, გადმოვხედე ქალაქს, რომელიც ღამის წყვდიადში წარმოადგენდა უზარმაზარ გაჩირაღდნებულ სივრცეს. გავიარეთ ჰავლაბარი, ნავთლუხი, მე ისევ ქალაქის ჩირაღდანს გავცქეროდი. რაც შორს მივდიოდით, ეს ქალაქის ჩირაღდანი თანდათან პატარავდებოდა და ბოლოს თლად გაჰქრა.

დილის შვიდ საათზე ბაქოს მივუახლოვდი. გავიხედე მატარებლიდან და დავინახე საბუნჩა-სურახანის „ვოშკები“, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ დავუპირდაპირდით შავ-ქალაქს, რომლის დანახვაზე კინაღამ გულს შეობომეყარა.

ღრუბლიანი დილა იყო. შავი-ქალაქის ნავთის ქარხნები გაცხარებული მუშაობდენ. აუარებელ ბუხრებიდან ამონავალი კვამლი, ძალზე ღრუბლიანი დილა და გამუქული შავი-ქალაქი, ყველა ეს ერთად მართლაც, რომ ჯოჯოხეთს წაგავდა. „ასეთ ქალაქში როგორ უნდა ვიცხოვრო?“—გავიფიქრე გუნებაში, რადგან შავი-ქალაქი თითონ ბაქო მეგონა. მაგრამ მალე მომეფარა თვალიდან შავი-ქალაქი ცაში აწვდილი კვამლებით და დავინახე ნამდვილი ბაქო, რომელიც არც ისე საძაგლად მეჩვენა, როგორც შავი-ქალაქი.

ჩემი „ბარგი-ბარხანით“ ჩავჯექი „კონკაში“ და გავემართე შუა ქალაქისაკენ, სადაც შაგიდანოვის „პასაჟში“ მეგულებოდა ერთი ნაცნობი. იმავე დღეს შემხვდა ასოთ-ამწყობი საშა გოცირიძე, რომლის ბინაზეც დავსადგურდი.

V. შეხვედრა ლადო კეცხოველთან.

ორი წელი ვიმუშავე ბაქოში. ერთ კვირა დღეს პარაპეტზე შემხვდა ლადო კეცხოველი, რომელსაც მაშინ კარგად არ ვიცნობდი. მე მივდიოდი სომხის ქუჩისკენ; ის კი სომხის ქუჩიდან გამოვიდა. დამინახა თუ არა, პირი იბრუნა და იმავე ქუჩით მოჰკურცხლა...

მე საშინლად გამიკვირდა მისი ასეთი საქციელი და ვერაფერი გამეგო. გავჩერდი ქუჩის კუთხეში და ვუყურებდი სწრაფად მიმავალს ლადოს. ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და მერე უფრო სწრაფად მოუსვა... „იქნება ჯაშუში ვინმე დაინახა“—ვფიქრობდი მე:— „ალბად ასე იქნება, თორემ ჩემი რა აშინებს?!“.

გაზაფხულზე თბილისში წამოვედი რამდენიმე დღით. აქ ვინახულე ვლასა მგელაძე.

— შე ჟანგიანო, ბაქოში იმიტომ წახვედი, რომ ხალხი დააფრთხო და შეაშინო?!—სიცილით მითხრა მან.

— კაცო, რაშია საქმე?—ვკითხე, თუმცა კი მივხვდი, რომ საქმე კეცხოველს ეხებოდა.

— ჩვენი ლადო შეგხვედრია იქ,—მითხრა ვლასამ:—შეშინებია საწყალს, მაგრამ ჩვენ ვუთხარით, რომ შენ არაფერი საშიში არა ხარ და პირიქით გამოადგები კიდეც საპიროების დროს. გუშინ დაბრუნდა ბაქოში და მოგიკითხავს შრეიბერის სტამბაში. აბა, კაი ბიჭია მეთქი ვუთხარი და ვინძლო არ შემარცხვინო, შე ჟანგიანო შენა!..

ბაქოში დაბრუნების შემდეგ ჩვენს სტამბასთან შემხვდა ლადო, რომელიც სიცილით მომესალმა და მითხრა:

— კაცო, შენ კაი ბიჭი ყოფილხარ და მე კი მეშინოდა შენი...

— ეხლა აღარ გეშინიან?—ვკითხე მე.

— მეშინიან კი არა,—მიპასუხა მან,—აგერ რამდენიმე დღეა გეძებ, მთელი ბაქო გადავაბრუნე და ახლა ძლივს გიპოვე. ძალიან საჭირო საქმე მაქვს.

საჭირო საქმე სწრაფათ იქნა მოგვარებული... ლადოს ვუჩვენე ჩემი ბინა და გავაცანი ჩემი ამხანაგები, რომელთაც ლადო თავის მხრით გაეცნო „ალექსის“ სახელით.

მაისობა შორს არ იყო. ბაქოს ქუჩებზე უნდა მომხდარიყო **პირველი მაისის დემონსტრაცია** და ჩვენი ლადოც გაფაციცებით ემზადებოდა ამ დღისთვის.

1902 წელს, აპრილის შუა რიცხვებში მე წავედი როსტოვში, საიდანაც შემდეგში წავედი მოსკოვში და ბოლოს პეტროგრადში. როგორ ჩაიარა ბაქოში პირველ მაისის დემონსტრაციამ, არაფერი ვიცი. ორი წლის შემდეგ პარიზის ჟურნალ „საქართველო“-ში წავიკითხე, რომ ლადო კეცხოველი თბილისში მეტეხის საპყრობილეში მოჰკლესო!...

ასე დასრულდა ცხოვრება ამ დაუდეგარი რევოლიუციონერისა.

1918 წლის მარტამდე დავყავი პეტროგრადში, სადაც ჩემი თვალით ვნახე დიდებული დღეები:

1917 წელს 27 თებერვალს მეფის ტახტიდან ჩამოგდება; 27 მარტს რევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავება მარსის მოედანზე; პირველად პირველ-მაისობა თავისუფალ რუსეთში და ბოლოს 25 ოქტომბრის გადატრიალება, რომელმაც სამუდამოდ დასცა კადეტების ბატონობა და გაანთავისუფლა მათ ბრჭყალებიდან ყველა მშრომელნი და გლეხობა.

1918 წელს 29 მარტს ღამის 2 საათზე გამოველი ფინლიანდიის რკინის გზის სადგურიდან და რიხინრიხინით გამოვსწიე თბილისისკენ.

მუშა ნიკო ასლამაზაშვილი.

ცხელი ფვა და ცივი ალმასი

მე მაგონდება ჩემი ბავშვობა,
ოქროს ყანაში ალმასის კვირტი;
აწ თვალწინ მიდგას სხვა წარმოშობა,
სხვა სახება და სხვა „დამაკვირდი“!..

მოხდა უსაზღვრო ფერისცვალება,
გაჩნდა მსოფლიოს დიდი ნაპრალი,
როცა გარდამხდა შვადღის წვალება,
მზის გარდაღუნვა და ნასამხრალი...

ოჰ, უკან დასწი, მეიტლეე, ეტლი!
მსურს გზის გაზომვა განმეორებით:
გულს ვერ თავსდება გზნებული ცეცხლი
ციდან ტყორცნილი მეტეორებით...

მსოფლიოს წელზე ციცაბო კლდიდან
მინდა გადავსწვდე „აქეთ-იქეთებს“
და წარმოშობის უხსოვარ დღიდან
ზე წარმომდგარ, თუ დაცემულ ღმერთებს...

ახ, ამ წყურვილის საშინელება
მხოლოდ მე ვიცი, რაც უსაზღვროა,
და რომ შეიძლოს მის შენელება,
მარქვით, რომელი სივრცე, თუ დროა?!.

იყო პლატონი, არისტოტელი,
კანტი, ლაპლასი, აინშტაინი...
კვლავაც გაჩნდება პლეადა მთელი,
დაიტევს მათ ცის „ლურჯი საინი“!..

როგორც პატარა აკვარიუმში
ხალვათად გრძნობენ თავს ზღვის თევზები,
ან ვით ერთიციცქნა მზის რადიუმში
ეტევა ყოფნის უსაზღვრო გზები...

მე ვიყავ კვირტი! კვირტმა რა იცის
წვისა და გზნების ძლევის გენია?
იმისი ხვედრი — ზმანება მიწის
და ცის უგულო განაჩენია!..

დღეს, როცა ცეცხლის უსაზღვრო კერას
დაეზიარა ბუნება ცივი,
ვსწყევლი და ვკრულავ ჩემს ბედის წერას
და ნედლი ტოტის შიშხინით ვწვივი...

და მიწა შორი სამხრეთ აფრიკის,
კაპის ქვეყანა, თუ ტრანსვაალი
ჩემს სოფელს სჯობდეს, ეგ სულ არ მიკვირს,
რადგან იქ წვისგან მტკიცეა კვალი!..

რასაც აქ ამბობს დღეს ჩემი ქვეყნის
ტურფა გარემო, ბაღჩა თუ ბაღი,
ამაზე მეტად მასვე იკვეხნის
დღეს იქ ფარული მიწის წიაღი,

სადაც უგეგმოთ ჩამწკრივებულა
ალმასის თვლების მრავალწერტილი,
რადგან იქ გზნება გაციებულა
და ყოფნის წვაა შიგ ჩაწრეტილი...

მაგრამ ამავ დროს მუდამ მზეთ მყოფი,
სხივთა მფრქვეველი მსოფლიო წვისთვის,
უგულო, მაგრამ ცეცხლის სამყოფი
და უფეთქებლად მფეთქავი მისთვის...

და ვით სიცოცხლე ბავშვის თვალებში
აკოკრილია სხივთა გრეხილად,
მსოფლიოს ყოფნაც სხივთ ნაპრალებში
მოსჩანს ალმასში გარდატეხილად.

ნ. ზომლეთელი.

ჯეკ ლონდონი

ჯეკ ლონდონი თითქმის ერთად ერთი ეროვნული მწერალია ამერიკისათვის.

ეს საკვირველიც კი არის.

ამერიკის მაშინიზმა, რომელმაც თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია, მთელი თავისი სულიერი მოთხოვნილება თითქმის კინემატოგრაფის ლენტებით ამოსწურა და ტრიუკების მრავალფეროვნებით დაკმაყოფილდა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, თითქოს იანკების მთელი ხელოვნება, მხატვრობა და ლიტერატურა მხოლოდ კინოთი ამოიწურებოდეს. პირიქით, მათ მსოფლიოს მისცეს ისეთი მწერლები, როგორც არიან ცნობილი ედგარ პო და ტვენი, მაგრამ აქავე დროს ვერ შექმნეს თავისთვის ეროვნული მწერალი. თვით მარკ ტვენი, რომლის ბასრი კალამი და არაჩვეულებრივი იუმორი განსაკუთრებული თვისებისაა და გაორკეცებულ სიძლიერეს ღებულობს ამერიკისათვის—აი ეს მარკ ტვენიც კი არ არის იანკებისათვის ეროვნული მწერალი.

ასეთი არის მხოლოდ ჯეკ ლონდონი, რომელმაც ამ ათი წლის წინად პირდაპირ დაიპყრო ამერიკელის აზროვნება.

ის სულ უბრალო წრიდან გამოვიდა, უბრალო მუშად იყო იქ, პოლიარულ კლონდაიკზე და უბრალო ენით, გასაგები გადმოცემით მოგვითხრობს ყველა ამბებს.

ის თითქმის ყველა თავისი მოთხრობების მოწამე იყო და სწორედ ამიტომ ასე უბრალოდ, ცოცხლად და მოხდენილად სწერს ნამდვილ ამბებს. მან თითონ გადაიტანა ყოველგვარი გაჭირვება; იყო უბრალო მუშა, შემდეგ მატროსი, რომელიც ერთი ონოვარის საშოვნელად გადიოდა ოკეანეში და სიცოცხლეს ბედის სასწორზე დებდა. ყველა მისი მოთხრობები ცხოვრებიდან არის აღებული; ის მკაფიოდ და ნათლად გვიხატავს იმ „გორიაჩკას“ რომელიც გამოიწვია გასული საუკუნეს მიწურულში ოქროს დაუშრეტელ წყაროს აღმოჩენამ კლონდაიკზე, სადაც ადამიანს მუშაობა უხდებოდა 60—80 გრადუს სიცივეში.

იქ, შორეულ, ცივ კლონდაიკზე, დაუსონში მიდის მთელი არმია კაცების, ქალების, რომელთაც იმედი აქვთ გამდიდრების, ფულის შოვნის. არ არის გზა, უნდა იარონ ყინულში, წყალში, თოვლში, გადაიტანონ იობის ტანჯვა და ყოველივე ეს მხოლოდ იმ იმედით, რომ მიხვალ დაუსონში და მის მიდამოებში მონახავ მდინარეს, რომელსაც თავის სილაში უხვად მიაქვს ოქროს ნამცეცები. მიდიან ორი—სამი წლით და მიაქვთ მხოლოდ 100—150 გირვანქა ხორბალი; მეტის წაღება არ შეიძლება, ვერაფრით წაიღებენ; არც იმის იმედი უნდა იქონიონ, რომ ადგილზე სანოვაგეს უხვად იშოვნიან. უნდა იყოფინონ, ასეთია ცხოვრების კანონი. ვინც გადაიტანს ამ გაჭირვებას, გაუძლებს არაჩვეულებრივ წვალებას—ის გაიმარჯვებს, ოქრო მისია. ბევრნი, ძლიერ ბევრნი იღუპებიან ამ ბრძოლაში, მაგრამ რაც მეტია მსხვერპლი, მით უფრო მეტია ლტოლვა ოქროსაკენ. ქვეყანა ძლიერებისაა; ბრძოლა ბუნების სიმკაცრესთან, ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებლებთან—ინდოელებთან—აი გზა სიმდიდრისაკენ.

ადგილობრივი მცხოვრებლები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ მოსულ თეთრკანიანებთან, რადგან კარგათ იციან თუ რას მოასწავებს ეს: თეგზის და ირმების შეჭმა თეთრების მიერ, ადგილობრივ მცხოვრებთა გაყვლეფა, განადგურება, ზნე-ჩვეულების აბუჩად აგდება—

ჯეკ ლონდონი

აი კლონდაიკზე მისულ თეთრების სენი, რომელიც გაანადგურებს ადგილობრივ მცხოვრებლებს. ეს არის მოვლენა, რომელსაც კი არ უნდა შეურიგდე, არამედ—ებრძოლო. და წითელ კანიანებიც იბრძვიან. შემდეგ თითქმის იღუპებიან. თეთრებს იქ მიაქვთ ადგილობრივ მცხოვრებთათვის გამანადგურებელი საშუალება—თუთუნი და არაყი, რომლის გემო იმდენად მიმზიდველია, რომ მთელი წითელ კანიანობა მონად ხდება. კლანდაიკი დაიმორჩილეს, დაიპყრეს, გარყვნეს, ოლად აიყვანეს ადგილობრივი ქალები, გამდიდრდნენ—და შემდეგ გამარჯვებულნი უკან მოდიან სახლში—ამერიკაში, ევროპაში, რასაკვირველია, უცოლოდ.

ასეთია ოქროს მაძიებართა თავგადასავალი. ყველაფერი ეს გასაშტერებელი სისწორით და სიმართლით აქვს ჯეკ ლონდონს აწერილი. არც ზედმეტი სიტყვა, არც გაურკვეველობა—აი რა ახასიათებს მის მოთხრობებს; ის გასაგებია ყველასათვის.

საშინელებაა ცხოვრების კანონი, და საკვირველი სიდინჯით, გულგრილობით ხედება მას წითელკანიანი.

აი, თუნდაც თვით მოთხრობა „ცხოვრების კანონი“: ინდოელების თემი მიდის ახალ სამოსახლეობაზე. ძველ ადგილას უკვე გათავდა თევზი, არსად სჩანს ირემი—საჭირო ხდება ადგილის გამოცვლა და საუმელის მონახვა. ძველი ადგილიდან არ იძვრება მხოლოდ თითქმის დავარდნილი მოხუცი; რა საჭიროა მისი წაყვანა: მას უკვე აღარ შეუძლია ჩქარი სიარული და ამავე დროს თემისათვის ის ზედმეტი პირია—რჩენა სჭირდება. და აი ისიც რჩება მარტოდ-მარტო დაუსაბამო თოვლიან მინდორში. მას დაუტოვეს ცოტა საუმელი და ანთებული ცეცხლი, რომელიც აი-აი ეხლა უნდა ჩაჰქრეს. მის გარშემო კი უკვე თავს იყრიან მგლები. მოხუცი სრულიად არ სჯავრობს, სრულიად არ სწყენს, რომ ის დასტოვეს მგლებს ლუკმად. ეს ცხოვრების კანონია. ისიც ასე იქცეოდა ავადმყოფთა და მოხუცთა მიმართ, როდესაც იყო თემის ბელადი. ცხოვრების კანონია! ის იხსენებს მთელ თავის წარსულ ცხოვრებას... ცეცხლი ჰქრება. ადამიანი მგლების მსხვერპლია.

ამას ეწოდება ცხოვრების კანონი!

ასეთი უბრალოა მისი სხვა მოთხრობებიც.

აი მეორეც: ორი კაცი და ერთი ქალი—ოქროს მაძიებელნი, რასაკვირველია, მიდიან შორს, თოვლიან მინდორში. ერთ კაცს ხე დაეცა და სიარული არ შეუძლია. ის თხოულობს, რომ მოჰკლან. კვდება. მისი ნეშთი ჩამოჰკიდეს ხეზე—ქალი, მისი ცოლი ამაში მონაწილეობას ღებულობს—რომ მგლებმა არ შესჭამოს და განაგრძეს გზა...

ესეც ცხოვრების კანონია!

ჯეკ ლონდონის გული, გრძნობა დაპყრობილ ველურების მხარეზეა, მაგრამ ამავე დროს მისი ანგარიში, ინტერესი მოითხოვს გაამართლოს დამპყრობელები.

აქ იწყება ლონდონის ორად გაყოფა, რომელიც არასოდეს არ ღებულობს საბოლოო სახეს.

ჯეკ ლონდონი დიდი განძია თანამედროვე ლიტერატურისათვის; კარგს კი იზამდა ჩვენი სახელმწიფო გამომცემლობა რომ მის რამდენიმე მოთხრობას მიაწვდიდეს ქართველ მკითხველს.

დ.

ჩირაღდანი.

სიბნელეში ვწვალობდით,
ვავიარეთ ანბანი,
ახალ გზის გასაკვალად
ავანთეთ ჩირაღდანი.

სოფელ-სოფელ დავდივართ,
ვაკითხებთ გაზეთ-ჟურნალს,
სულით ავადმყოფებთან
ვატანთ წამალს და მკურნალს.

დამნაშავეს ზიზღს ეუთვლით,
ცოდვილებს ვასამართლებთ,
გაჭირვებულთ ხელს ვუწვდით,
სიტყვას საქმით ვამართლებთ.

ომისაგან დანგრეულს
ომითვე ავაშენებთ,
ზამთარს კოკონით დავწვავთ,
გაზაფხულს დავამშვენებთ.

ავაგუზგუზებთ ქურას,
ავაგუგუნებთ საყვირს,
ბობოქარ ტალღებიდან
მშვიდობით გავალთ ნაპირს.

გაბრწყინდი ჩირაღდანო!
ვაშა, შენს სხივთა მახვილს,
ფრთებშესხმით გამოვყვებით
მსოფლიო გამოძახილს!

მუშა გიგო ხერუაშვილი.

ცრუმორწმუნეობის ქსელში

ჯერ კიდევ ჩვენი მუშათა უმრავლესი ნაწილი ვერ გამორკვეულა ცხოვრებაში, ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია ერთი მეორესაგან სიბნელე და სინათლე. ის კიდევ მისდევს იმ გზას, რაც მას არ შეჰფერის. იქ ახელს თვალებს, რაც მინდორია და იქ ხუჭავს სადაც კისერი უნდა მოიტეხოს. ერთი ასეთი მუშათაგანი, მე შემხვდა დილა ადრიან პატარა შუშით ხელში და აფთიაქში გარბოდა წამლისათვის. როდესაც მე შევეკითხე თუ რაშია საქმე. ვინა გყავს ავათ მეთქი, მან მიპასუხა შემდეგი სამწუხარო ამბავი: „შენ ხომ იცი, რომ მე ორი ბავშვი ავათ გამიხდა წითელათი. თავის დროზე ექიმი მივიყვანე, გასინჯა, მომცა დარიგება, როგორც უნდა მოვქცეულიყავი. შევასრულე ყოველივე მისი რჩევა-დარიგება და ბავშვებმა მოიხადეს ეს სენი. მას შემდეგ გაიარა ხუთმა თვემ; მაგრამ როგორც ამ ავათყოფობას სჩვევია ხველა, მაინც არ გაშორდა ბავშვებს. მოსვენება არა მქონდა ჩემი ცოლისაგან, დღე და ღამე სულ იმას ჩამძახოდა რომ წავიყვანოთ სალოცავათ „წმინდა“ ბარბალეს მონასტერში, თორემ ბავშვები დაგვიკლეკდებაო. უმტკიცებდი დედაკაცს, რომ ყველა ეგ სიცრუეა, სამღვდელოების გამოგონილი ხრიკებია, რომ ხალხი ატყუონ სიცრუით და რაღაც უხილავი ძალის ზეგავლენით, მშრომელ ადამიანებს წაართვან თავისი მძიმე შრომით შეძენილი უკანასკნელი გროში, რომ თავიანთი სქელი ჯიბე უფრო გაასქელონ. მაგრამ ხომ გაგიგია ერთმა დედაკაცმა თუ გასწია, ცხრა ულელი ხარი ვერ შეაჩერებსო, მართლაც ვერაფრით ვერ შეეძელი რომ ჩემი ცოლისათვის უარი მეთქმევინებია. მაგრამ მე, ერთი კაცი თუ წინააღმდეგი ვიყავი სამაგიეროთ ათი და მეტიც თავისებური უვიცი დედაკაცები უმტკიცებდნენ, რომ მე ურწმუნო ვარ და შვილებისათვის გული არ მტკივა და სხვა. ერთი სიტყვით ვერაფრით ვერ ავიცილე თავიდან ეს უბედურება და ძალა უნებურად დავეთანხმე. მაგრამ საბუთად ის მოვიყვანე, რომ ამისათვის მე ფული არა მაქვს და მაშასადამე ვერც მოვახერხებდი მონასტერში წასვლას; ამის სახსარიც მაღე გამოსძებნა ჩემმა უვიცმა ცოლმა. მან დაუფიქრებლათ მიმითითა იმ ორიოდე გროშზე, რომელიც შემეგროვებინა ბევრი ყაირათის და შიმშილის შემდეგ, რომ მომავალ ზამორისათვის ისედაც შიშველა ბავშვები სიცივით სიშიშვლისაგან არ დამხოცოდა. სხვა გზა რა მქონდა, ყოველ ღამე ჩხუბის და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლათ ცოლს დავეთანხმე და გუშინ ჩემ მეზობელთან ერთათ, რომელსაც ოთხი ბავშვი ჰყავს და ჩემ ცოლზე უფრო ალქაჯი ცოლი, გავეშზადეთ წასასვლელათ. დილა ჯერ არ გათენებულიყო, რომ ჩვენ სახლის წინ ცხენით „ტაჩკა“ მოგორდა. გამოვაღვიძეთ ბავშვები და ყოველ ხივილით, ექვსი ბავშვი ჩავყარეთ „ტაჩკაში“. ჩავაწყვეთ შიგ აგრეთვე თუ რამე სანოვაგე ვეშოვებოდა, გადავაბით ერთმანეთზე ნაყიდი ორი მამლაყინწა და ჩავაგდეთ „ტაჩკაში“ ისიც და გაუდექით ფეხით კახეთის გზას ნავთლულის სადგურს რომ მიუახლოვდით გათენდა კიდეც. აქედან შეუდექით იმ მინდორს, რომელზედაც ამ სამი წლის წინათ ძმათა სისხლი იღვრებოდა. დავინახეთ აგრეთვე სოღანლუღის ხიდი, რომელიც კერძო ინტრიგით გაეღენთილმა მენშევიკებმა ააფეთქეს.

ჩვენ განვაგრძეთ ლაპარაკი. ამ ლაპარაკში ისე გავერთეთ, რომ ვერც კი შევნიშნეთ, თუ როგორ დაგვშორდნენ ბავშვები ნახევარ ვერსით წინ. ამ დროს გამოჩნდა მომავალი მატარებელი და ჩვენც ფეხი ავაჩქარეთ, რადგანაც „ტაჩკა“ უახლოვდებოდა გადასასვლელ ლიანდაგს, გვინდოდა შეგვეჩერებინა, მაგრამ მაგრამ მატარებელი დაუახლოვდა „ტაჩკას“ გასაფრთხილებელად „სვისტოკი“ მისცა ცხენი შეფრთხა და ისეთ გორაზე შეაყენა, რომ „ტაჩკა“ გვერდზე გადიხარა, შეშინებულმა ბავშვებმაც წონასწორობა ვერ შეიკავეს და მათგანი ორი ძირს გადმოცვივდნენ. ტაჩკის გადაბრუნებას ბევრი აღარა აკლდა რა, მაგრამ მომავალ მეურმე გლეხებმა და მწყემსმა ცხენს სადავე დაუჭირეს ზოგმაც „ტაჩკა“ შეიმაგრეს და ამგვარად საგრძნობელი უბედურება ააცდინეს ბავშვებს. ძირს ჩამოცვენილთ კი ერთს შუბლზე ტყავი გადაეყვლეფა და მეორეს მსუბუქათ მკლავი დაუშავდა. მივაღწიეთ როგორც იქნა მონასტრის გალავანს და შეველით შიგ. ჩვენ გვეგონა, რომ აქ მარტოკა ჩვენ ვიქნებით, მაგრამ იმედი არ გამართლდა. იქ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და სამწუხაროთ ყველა მუშები იყვნენ თავიანთ ცოლშვილით. ყველა სადილის მზადებაში იყვნენ, ყველას სახეზე რაღაც მხიარულობა ემჩნეოდათ, მაგრამ არც მღვდელი და დიაკვანი იყვნენ მოწყენილი. ღვდელი ეკლესიაში ფულებს ხვეტავდა და იმის თანაშემწე კი მოყვანილ „სამხთო“ მამლებს ფეხებს უკრავდა და ერთ ოთახში აბინავებდა. ასეთი, მიყვანილი „სამხთო“ მამლები დაახლოვებით ასე ორმოცამდე მაინც იქნებოდა და ყველა ეს ისეთ მუშებისაგან იყო მიტანილი, რომ შეიძლება იმის ცოლშვილი წელიწადში ერთხელ თუ ეღირსებოდა ქათმის ხორცის ჭამას. უცებ ბავშვის ტირილი გაისმა და ჩვენ დიასახლისების წვილ-კვილმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, და რომ მივეხლით ახლოს, ჩვენ წინ მეორე უბედურ შემთხვევას წავაწყდით: ბუხრიდან მდულარე წყლით სავსე ქვაბი გადმოვარდნილიყო და ჩემი ბავშვისთვის ორთავე მუხლები დაეწვა. ასეა ძმაო ჩემი საქმე. წუხელ შეწუხებული ბავშვი მოვიყვანე. დღეს წამლისათვის მივდივარ, მაგრამ რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რომ დღეს ერთი კაპეიკიც არა მაქვს ჯიბეში. ან სად ვიშოვნი? ძე ბევრი აღარ მიფიქრია, უკანასკნელი ხუთი მილიონი მქონდა მთელი კვირის პურის ფულად, ამოვიღე და მას გადავეცი რომ წამალი ეყიდნა.—ამხანაგი საჩქაროთ გაექანა აფთიაქისაკენ. მე კი ამ ამბავმა მწარეთ ჩამაფიქრა, ნუ თუ ჯერ კიდევ ჩვენი მუშები ცრუმორწმუნეობის ქსელში უნდა იყვნენ გამბულნი?..

მუშა ალ. ბაჯიაშვილი.

პროლეტკულტის წითელი თეატრი

დიდი ხნის ოცნება იყო განსაკუთრებით საქართველოში მუშათა კლასს ჰქონოდა თავისი წითელი თეატრი, მაგრამ წყეული ობიექტიური პირობები ყოველთვის ამ მიზნის განხორციელების ხელის შემშლელად გამოდიოდა.

ყველასთვის ეშმარიტება უნდა იყოს ის დებულება, რომ მუშათა თეატრი ეწოდება თეატრს არა მარტო მაშინ, როდესაც მისი რეპერტუარი მხოლოდ რევოლიუციონური ან დაპროლეტარული პიესებით განისაზღვრება არამედ ამ რეპერტუარს რა ძალები ასრულებს, მუშები თუ ინტელიგენტი მსახიობები? მაშასადამე დიდი მნიშვნელობა აქვს აღმასრულებელ ძალას და თუ ეს აღმასრულებელი ძალა—აქტიორებიც მუშები და მის წრიდან გამოსული პირნია, მაშინ ცხადია, თეატრიც უეჭველად მხოლოდ მუშურია.

ჩვენ უკვე ვეღირსეთ ასეთ თეატრის გახსნას. ეს გახლავთ პროლეტკულტის წითელი თეატრი. არ შეუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენად ამისათვის მზათაა ჩვენი პირობები, ეს თვით ამ თეატრის გახსნამ დაამტკიცა, მაგრამ მინდა შევეხო ამ თეატრის პრაქტიკულ საქმიანობას.

ამას წინად პროლეტკულტის წითელ თეატრში (ყოფილი სახალხო თეატრი) წარმოდგენილი იქმნა ემილ ვირჰარნის ცნობილი პიესა: „**რიეურაეი**“. ეს პიესა დაიდგა რეჟისორ **დ. კობახიძის** მიერ. ამ წერილში ჩვენ ვჩერდებით ამ პიესის დადგმაზე. უნდა ვაღიაროთ ის წინასწარი შთაბეჭდილება, რითაც თეატრშა მიდიოდა ბევრი ჩვენგანი.

— სად მიდიხარ?

— წითელ თეატრში.

— მერე იქ რა გინდა, რა უნდა ნახო ახალი?

— წითელი თეატრი სდგამს ახალ პიესას: „რიეურაეს“ რეჟისორობს დ. კობახიძე, მსახიობები თითქმის ყველანი მუშებია. მეტად საინტერესო იქნება

— წამოვალ, მაგრამ ტყუილად დროს გაცდენა იქნება!

ასეთი წინასწარი „შეხედულებით ესწრება ხალხი „რიეურაეი“-ს დადგმას.

ფარდის ახდამდი აუდიტორიაში ზევით, ქანდარიდანაც ისმის მუშა აქტიორების მეტეარე ხმა. ხალხი უკან იცქირება ხან ზევით, ხან გვერდით. ერთი სიტყვით მაყურებელი საზოგადოება შეტორტმანდა. მან დაინახა, რომ არის რაღაც ახალი, უკვირს, ელის მაინც ფარდის ახსნას.

აიხსნა ფარდა. სცენა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებს. არის რაღაც ახალი და ამავე დროს გრძნობ რეჟისორის მტკიცე ხელს. წინასწარ იცი, რომ მსახიობნი ხხოლოდ და მხოლოდ მუშებია, მაგრამ მათ ვერ არჩევ ნამდვილ გაწვრთნილ აქტიორებისაგან. ყველას საკმაოდ დასჩნევია რეჟისორის ხელი. ყველა დიდი ენერგიით და დაკვირვებით თამაშობს რაც მაყურებელ სასოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა. უპირველეს ყოვლისა სცენაზე სჩანს ის ძალა, რომელიც პიესაში წითელ ზოლივით არის გაკლებული. ეს მუშათა კლასია თავისი ბრძოლის შეგნებით და

დანთებით. აქ ხედავ მთელ სტრატეგიას მუშათა კლასისას, როდესაც ის ებრძვის ბურჟუაზიას და მთელი მასების ნებისყოფა მიმართულია ერთ მტრის — ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ ყველა ეს ისე არის გამოყვანილი რეჟისორის დადგმით, რომ მაყურებელი აღტაცებაში მოდის. თითქმის ყველა ხაზი დადგმისა მიზანშეწონილად იცქირება. არ არის ზედმეტი ბუტაფორია. სადა მაგრამ ამავე დროს კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს თითქმის ყველა სურათები განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს სურათი, სადაც ქალაქის კარები არის ნაჩვენები.

შევეხოთ მსახიობებს:

ერენიანი—მელიავა. კარგათ ასრულებს დიკისრებულ როლს. მას აქვს მიმიკა და სათანადო მიხვრა—მოხვრა. მელიავა უსათუოდ კარგი მსახიობი გამოვა. მას აქვს ნიჭი საამისოდ.

მინისტრი—მებურნუთაშვილი თავის როლს შესამჩნევად ასრულებს მისი თამაში დახელოვნებულ მსახიობის თამაშის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამიდანაც დიდი მსახიობი გამოვა მომავალში.

აღსანიშნავია აგრეთვე თავის თამაშით **თინთიბძე, კალაძე იარალოვი და გვინჩიძე.**

აგრეთვე დანარჩენი მოთამაშენიც, თავის სიმაღლეზე სდგას. ეს მეტად სასიამოვნო მოვლენაა უსათუოდ. ჩვენმა მუშა აქტიორებმა დაგვარწმუნეს თავიანთ ნიჭში, რაც გამომჟღავდა **რეჟისორ დ. კობახიძის** წყალობით, რისთვისაც მას დიდი მადლობა უნდა ეთქვას. ჩვენმა განათლების კომისარიატმა უნდა მიაქციოს რაც შეიძლება მეტი ყურადღება წითელი თეატრის აღორძინების საქმეს. დაწყებული საქმე ნოყიერ ნიადაგს მოხვდა და თუ მას ხელს შეუწყობთ კარგს ნაყოფსაც გამოიღებს. საჭიროა დახმარება მუშა მსახიობებისა რომელთა თამაშს დღემდე მხოლოდ ქველმოქმედების ხასიათი ქონდა.

ერთი სიტყვით ჩვენ გვაქვს პროლეტკულტის წითელი თეატრი მას ხელმძღვანელობს ნიჭიერი რეჟისორი, ჩენი ვალია შეუწყოთ ხელი მუშათა თეატრს და მივცეთ მაქსიმალური თეატრალური შემოქმედების გაშლის შესაძლებლობა.

იონა ვაკელი.

▣ კინო-სურათი „ყაჩაღი არსენა“. ▣

კინო-ლეგენდა 7 ნაწილად. რეჟ. ვ. ბარსკი; ოპერ. დიღმელი. სახკინმრეწ. საქც. ს—ბის გამოცემა.

მშრომელთა ძლიერება, რომელიც შემქნელ-აღმშენებელია ძველი ქვეყნის ნანგრევებზე ახალი სამყაროს, ლოდებს ჰხდის სასაფლაოებს და მკვდრეთით აღდგომილთ შირავანდედით მოსავს.

ხალხის ერთი ასეთი გმირი, ჩაუქრობელი მნათობი და სიამაყე იყო და მარად დარჩება **არსენა ოძელაშვილი.**

თვითმპყრობელობის დროს მისი ხსოვნა და სიყვარული ხალხის გულის სიღრმეში ინახებოდა და ბრწყინვალების ლეგენდარულ კოშკს უდგამდა მას. დიდხანს „ეძინა“ არსენას მოდუდუნე მტკვრის ხეობაში. ვერავინ გაბედა მისი „გაღვიძება“.

საბჭოთა ხელისუფლება ამ ფილმით უძვირფასესი ძღვენით ასაჩუქრებს ჩვენს გლეხობას, რომლის წიაღიდან გამოვიდა არსენა.

შევეხოთ ფილმას.

ჯერ სათაურზე.

მე მგონია: „ყაჩაღი“ ქართული შინაარსით არ ნიშნავს „Разбойник“-ს. ჩემი აზრით: „Разбойник“ არის ავაზაკი. ყაჩაღსა და ავაზაკს შორის არის დიდი განსხვავება და ცოტა საერთო. საერთო ის არის, რომ ორივე განდგომილი არიან არსებულ ხელისუფლებისაგან. ყაჩაღი ებრძვის,ართმევს მთავრობას და მდიდრებს, მაშინ, როცა ავაზაკისთვის სულ ერთია: ღარიბი და მდიდარი—ორივეს წაართმევს. არსენა იყო ყაჩაღი და არა ავაზაკი—Разбойник. ფილმის სახელწოდება ქართულად სწორია, ხოლო რუსულად—არა სავსებით.

ჩვენ ზემოთ ვსთქვით არსენას უფრო გაიდეალების შესახებ. შესაძლებელი იყო უფრო გაუნივერსალება და აგრეთვე თანამედროვე ცხოვრების ანარეკლის და ელფერის შემატება. ამით ფილმა მეტად მოიგებდა.

ფილმის მიხედვით: არსენა თავის თავს იცავს და არ გამოდის აქტიურ მოწინააღმდეგეთ. მართალია: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“, მაგრამ ეს შემთხვევითია, არ ატარებს დევიზის ელფერს და არ სცილდება ვიწრო რკალს. ის ცეცხლს უჩენს ბატონის სახლ-კარს, მაგრამ ეს მის პირად ინტერესებიდან გამომდინარეობს. აი სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ არსენას კიდევ უფრო გაიდეალება, გაუნივერსალება შეიძლებოდა და მას უნდა მოჰფენოდა თანამედროვე, ცხოვრების ელფერი.

მიუხედავად ყველა ამისა ჩვენს ფილმებში მხატვრულად და იდეოლოგიურად არც ერთი ფილმა არ არის ასე გამართლებული.

საზოგადოდ, ძალიან ძნელია ფილმაში ამ ორივე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება, ისე, რომ ერთ-ერთ მათგანს ნაკლი არ მიეცეს. აქ კი ორივე მხარე წონასწორობაშია. ამ ფილმით თამამად შეგვიძლია უცხოეთის ბაზარზე გასვლა—ეს ჩვენი ფილმების შედევრია.

ჩვენს კინო-რეჟისორებში ვ. ბარსკი ყველაზე უფრო კარგად იცნობს საქართველოს და ეს იმიტომ, რომ ის კარგი ხანია ჩვენს ქვეყანაშია და საკმაო კარგად შესწავლული აქვს ჩვენი მხარე. ჩვენ გვაქვს მასზე ასეთი შეხედულება მის მიერ დადგმულ ფილმებით.

„ყაჩაღი არსენა“ ბევრ საწინააღმდეგოს ამბობს მათთვის, ვისაც ჰგონია, რომ კინო არის: „უსულო“ და მას აკლია ფსიქოლოგიური სიღრმე და ემოციონალობა.

ამ ჟამად ჩვენ უმთავრეს ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ ფილმის იდეოლოგიურ მხარეს, რადგანაც საფრთხე გვაქვს ბურჟუაზიულ კინო-რეპერტუარისგან, რომლითაც საზრდოობენ ჩვენი კინო-თეატრები.

ჩვენი კინო-ხელოვანნი საკმაო სიმაღლეზე დგანან და ეს ალბად იმიტომ, რომ საქმეს მუყაითობით და სიყვარულით ეკიდებიან.

ვ. ბარსკი კულტურული რეჟისორია. თუმცა ჩვენ არა გვაქვს ნორმალი კავშირი უცხოეთთან, სადაც კინო-ხელოვნება გიგანტიური ნაბიჯით მიდის წინ, მაგრამ რეჟისორი კვალ და კვალ მისდევს მას. უმთავრეს ყურადღებას იპყრობს მონტაჟი, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფილმის გამარჯვებაში. უკანასკნელ ხანებში „მონტაჟი“ დრამაშიც შევიდა... ალბად კინოს მიბაძვაა (?). მთელ ლენტში არ არის უადგილო ერთი კადრი. კარგად ასხმულია სცენები და მოქმედებები და დაცულია მათი კოლლიზია, კონტრასტობა და პარალელობა. წარწერები შესაფერ მომენტებშია; მაგ. ჯერ ხდება სცენის ნაწილობრივი დემონსტრაცია—შემდეგ წარწერა და სცენის დასრულება. ამით შთაბეჭდილების მიღება უფრო ადვილია.

გეოგრაფიული (პეიზაჟები: ტიფი და სხვა) და ეტნოგრაფიული (სოფელი და ტფილისის მრავალსახეობა) მხარეები კარგად გადმოცემულია. სწორად დაცულია მაშინდელი ზნეჩვეულებანი: ქორწილი, ქეიფი, ბატონების გარყვნილება და სხვა.

ფილმის დეკორატიული მხარე კარგად შესრულებულია: დაცულია სტილი, აქსესუარები და სხვა.

ჩეჩელაშვილი (არსენა) იძლევა სცენარის მიერ მიცემულ არსენას იდეალურ განსახიერებას. მოლოდინს გადააჭარბა. მისი თამაში ისეთი ცხოველი და მგზნებარე არის, რომ დარბაზი ხშირად უკრავს ტაშს (ყაზახებთან შეხვედრა, აბანოდან გამოპარვა...)

ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძისა მალე შეიქნება ქართული ეკრანის კარალევა. ყველა სცენებში უნაკლოა. თუ „ნუნუ“-ში მას აკლდა ტრაღიზმი, ეს უმნიშვნელო ნაკლი გაორკეცებით გამოასწორა „არსენა“-ში.

ბარხუდაროვაც ყველა სცენებში კარგია. მას აქვს ამ როლის (ქალბატონი) შესაფერი ფიგურა და დარბაისლობა. მისი თამაში არის როლის სრული გაგება, განსახიერება და დაძლევა.

მეორე როლების აღმასრულებელნიც საკმაო სიმაღლეზე დგანან. მათში სხვებთან ერთად ყურადღებას იპყრობს რეჟისორის სტუდიელები.

მცირე ნაკლი, რომელიც ფილმის მთელ პანორამაში მკრთალად მოსჩანს არის მასსიურ სცენების თეატრალობა. ვერ არის კარგად ასრულებული ნაწილი იმ სცენისა, როცა ბატონის ასული (თოიძე) მშობლების ამოწყვეტის შემდეგ სიმაღლიდან ვარდება.

დასასრულ: სურათი, რომ დაწყებულიყო ფინალი სცენით (მოხუცი არსენას საფლავზე უკრავს და მოუთხრობს ხალხს) და ამავე სცენით გათავებულიყო, როგორც უკვე არის—მე მგონია ფილმა არაფერს წააგებდა—პირიქით.

ი. ხინველი.

ბიბლიოგრაფია

პოეზიის დღე.

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო. ოთხშაბათი, მაისის 7. 1924 წ.

რამდენიმე წელია, რაც საქართველოს მწერალთა კავშირი დღესასწაულობს 7 მაისს „პოეზიის დღეს“. ამ დღეს მწერალთა კავშირი უშვებს სპეციალურ გაზეთს და დღის აღსანიშნავად აწყობს საღამოს. წელსაც მწერალთა კავშირი ასე მოიქცა.

პირველი წერილი „პოეზიის დღეს“ დიდის პათოსით იწყებს იმას, თუ რას ნიშნავს პოეზიის დღე ქართული კულტურისთვის. არავითარი არგუმენტაცია, სიდინჯე ამ წერილს არ ახასიათებს, წმინდა ფრაზეოლოგია და ყალბი პათოსი—აი რით ხასიათდება ეს წერილი. „ჩვენ ქედ-ამაღლებული გავცქერით ქართულ პოეზიის დიდებით მრისხანე მომავალს და სხვა.... რას ნიშნავს? რატომ არ ეცადა ავტორმა გამოერკვიათ თუ რას ნიშნავს ეს მომავალი... ყალბი პათოსით დაწერილ წერილებით ვერასოდეს ვერაფერს ვერ ვიტყვით. ასეთივე ყალბი პათოსით დაწერილი წერილია აგრეთვე ირ. ტატიშვილის. „ხელოვნება მოსწყდა ძველ გზას, აღარა ჰსურს იყოს გარემოს საპირფარეშო არამედ მხილება და სხვ... კეთილ ინებეთ და გაიგეთ რას ნიშნავს ეს? თუ მოქ. ირ. ტატიშვილს სურს გაარკვიოს ის, თუ რას ემსახურება თანამედროვე ლიტერატურული მიმდინარეობანი—სერიოზული დასაბუთებული წერილები არის ამისთვის საჭირო და არა ისეთი, როგორიც არის ირ. ტატიშვილის და რომელშიდაც ნატამალიც არ არის სიდინჯის და სერიოზულობის. გადაშლით მეორე გვერდს გაზეთისას და 15 ლექსში. რომელიც აქ არის მოთავსებული არც ერთი არ წაიკითხება. „სტარიოს“ დემონსტრაცია—აი ამ ლექსების შინაარსი ამ ლექსების ავტორმა უნდა შეიგნონ, რომ მათ ლექსებს არ შეუძლია დააკმაყოფილოს არც ერთი მკითხველი.

მარიჯან, ვ. რუხაძე, ი. გრიშაშვილი, ს. მგელაძე, ი. მჭედლიშვილი—აი ავტორები ამ ლექსების. განა შეიძლება ეხლა ი. მჭედლიშვილის და საფო მგელაძის ლექსების კითხვა? ან თუ გნებავთ შემდეგი ლექსი:

„ამ დროს უეცრად მომაგონდება
სოფლის უნისლო და უწვიმარ ცის...
და სურნელობა დაუვიწყარი
მიწაზე ფეხით გასრესილ მარწყვის“.

ეს ლექსი ს. აბაშელს ეკუთვნის. შენიშვნები სრულიად ზედმეტია, საჭიროა რომ ეს ლექსი წაიკითხოთ და ყველგვარი ლექსი შეიძულოთ.

მწერალთა კავშირს ეს საზოგადოება ხელმძღვანელობს და ამის შემდეგ განა ეჭვი შეიძლება დაიბადოს იმის შესახებ, რომ ძველი პოეზია სიკოტრისაკენ არ მიექანება?

გ. ქუმბერიძეს ეკუთვნის წერილი „ქართული შემოქმედება და სამყარო“—რას ნიშნავს ასეთი სათაური. შეიძლება ნორმალურმა კაცმა ასეთი სათაურით დასწეროს წერილი. რაც შეეხება შინაარს, წაიკითხოს მკითხველმა და თვითონ მან სთქვას შეიძლება თუ არა ამაზე მეტი უსახსრობის და უნიადაგობის დემონსტრაცია, როგორც ამ წერილში არი გამომჟღავნებული. ბოლოს და ბოლოს რედაქცია, როდესაც უშვებს წერილებს,—კითხულობს თუ არა ამ უკანასკნელს? და. თუ კითხულობს განა შეიძლება ასეთი წერილების გაშვება?

დასასრულ ავღნიშნოთ ორიოდე მოსაზრება ვ. კოტეტიშვილის წერილის ორი „სტიქიონის“ შესახებ. წერილი იმანუილ კანტის და ბაირონის ხსოვნის აღსანიშნავი წერილია. ქართულმა მეცნიერულმა ჟურნალებმა აღნიშნეს როგორც კანტის ისე ბაირონის დღე.

რა შუაშია იმან. კანტის და ბაირონის კავშირზე ლაპარაკი. რომელ კავშირზე ლაპარაკობს ავტორი? ბაირონის და კანტის კავშირზე ლაპარაკის დროს მე მაგონდება ერთი კაცის კითხვა, რომელიც როგორც კი შეგხვდებოდათ, გკითხავდათ“: Скобелев (რუსეთის მთავარ სარდალი) лучше или Шекспир?“ ისეა ვ. კოტეტიშვილის წერილშიდაც, სად კანტი, სად ბაირონი? ვ. კოტეტიშვილს ჰგონია, რომ მან შესანიშნავად აღნიშნა ამ ორ ადამიანის პატივისცემა.

„ჩვენ გვინდა ამ ორი დიდი სახელის დაკავშირება, რადგან გვეჩვენება, რომ მათ შორის არსებობს ატეხილ სულთა ნათესაობა“. რას ნიშნავს ატეხილ სულთა ნათესაობა? ეს არის ფრაზეოლოგია და მეტი არაფერი.

იმ დეფექტების მთლიანად აღნიშვა რაც ამ გაზეთს ახასიათებს, შორს წაგვიყვანს, საჭიროა წაიკითხოთ, რომ ნათლად დარწმუნდეთ ამაში.

„ცისფერი ყანწელები“ სდუმან. რით აიხსნება ეს? მხოლოდ იმით, რომ სათქმელი არაფერი აქვთ მათ. ცისფერ ყანწელებმა კარგი ხანია „შემოქმედებაზე“ ხელი აიღეს.

გადაშენება, უკმეხი ტრაბახი—მათი დამახასიათებელი თვისებაა. დღევანდელ მწერალთა კავშირის აღარ შეუძლია იყოს საქართველოს მწერლობის ხელმძღვანელი და რაც მალე ჩაბარდება ისტორიას, ქართული კულტურისთვის მით უკეთესი იქნება. მათ ისტორიული მოსჭამეს დრო. ახალი ეპოქა ახალ აზრს და ახალ ადამიანს თხოულობს.

მკითხველი.

კინოს გავლენა ჰოტენტოტებზე

აძერიკაში დაბრუნდა კინოსცენარისტკა კაროლლინა იეგერ, რომელიც იყო წასული ქვეყნიერების სხვა და სხვა ნაწილებში იმ მიზნით, რომ გამოეკვლია თუ რამდენათ მოახდინა კინომ ზეგავლენა ისეთ ხალხებზე, რომლებსაც ჯერ არ შეხებია ცივილიზაცია.

ჰოტენტოტი ქალები დიდი დაკვირვებით ცდილობდენ თავიანთი თმები გაეკეთებიათ ისეთ „პრიჩოსკებით“, როგორც ეს ჰქონდათ ეკრანზე მოთამაშეებს. იყო მათგან „ცდები“ რათა ამერიკულ ინჟინერის გეგმაზე გარდაექმნათ თავიანთი პრიმიტიული ცხოვრება.

თეატრი

გ ე რ მ ა ნ ი ა.

რუსული თეატრები ბერლინში. ბერლინში გაიხსნა ახალი რუსული „რომანტიული თეატრი“. „გედის ტბის“ დადგმის შემდეგ თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა ვენაში, ლონდონში და პარიზში.

„ლურჯი ფრინველი“. იანვრის ბოლო რიცხვებში ბერლინში გაიხსნა თეატრი „ლურჯი ფრინველი“.

ახალგაზრდა დრამატურგები. ბერლინის თითქმის ყველა თეატრებში, გარდა რამდენიმე დიდი თეატრისა, იდგმება უმთავრესად ახალგაზრდა გერმანელ დრამატურგების პიესები.

ახალი პიესა. „გერმანულ თეატრში“, რომელიც ძველი პიესებით იკვებება, დაიდგა ექსპრესიონისტ გრაბეს პიესა: „ხუმრობა, სატირა, ირონია და ღრმა მნიშვნელობა“.

„ცხრიდან ცხრამდი“. ბერლინში დაიდგა ლეო პერუცის და განს შტურმის ახალი პიესა „ცხრიდან ცხრამდი“.

ტრილოგია „ბისმარკ“. ბერლინში, თეატრ „აპოლო“-ში დაიდგა ემილ ლიუდვიგის ტრილოგიის „ბისმარკ“ ის პირველი ნაწილი „ხალხი და ტახტი“. შესრულებაში მონაწილეობას იღებდა 200 კაცი.

გობბელის პრემია. 1923 წ. გობბელის პრემია მიიღო დრამატურგმა გუგი ვოლფანგ ფილიპმა კომედიისთვის „გამრავლების გახურებული თაბულა“.

საფრანგეთი.

ფრანგული კომედია. თანამედროვე ფრანგული თეატრის რეპერტუარი შეივსო ლუი ჟანდრის და გილიო დე-სექსკეს ახალი პიესით, რომლის გმირია იგავ-არაკების მწერალი ლაფანტენი.

ი ნ გ ლ ი ს ი.

ინტერესი შექსპირისადმი. მიმდინარე სეზონში ლონდონში დიდის წარმატებით იდგმება შექსპირის პიესები, განსაკუთრებით „სიზმარი ზაფხულის ღამეში“ და „მეთორმეტე ღამე“.

თეატრების რეპერტუარი. მიმდინარე წელს ლონდონის თეატრების რეპერტუარი ძლიერ ღარიბია. თითეულ თეატრს აქვს ერთი-ორი ახალი პიესა, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში იდგმება.

„პარიზის ღვთისმშობლის ხობოროს კუზიანი“. ფრიდ ბიუტამ სცენისათვის გადააკეთა ვიქტორ ჰიუგოს რომანი. პიესაში მონაწილეობას იღებს სამი ათასი კაცი.

ფრანგ მსახიობების გასტროლები. ლონდონში ჩავიდა საგასტროლოდ პარიზის სხვა და სხვა თეატრების მსახიობთა დასი. მათმა ჩასვლამ დიდი გამოცოცხლება შეიტანა ლონდონის თეატრალურ ცხოვრებაში. რეპერტუარი შესდგებოდა მოლიერის, ა. მიუსეს, ე. როსტანის და სხვა ფრანგ დრამატურგების პიესებიდან.

რუსული დასი. ლონდონს დაბრუნდა გასტროლებიდან რუსული დასი „ლურჯი ფრინველი“.

კ ი ნ ო

რუსეთი.

ლენინი ეკრანზე. ჩვენი დიდი ბელადის ვლ. ლენინის გარდაცვალების მომენტიდან მთელმა ფოტო და კინო ორგანიზაციებმა გამოიჩინეს განსაკუთრეპული ენერგია, რათა ეკრანზე მოეცათ ამ სამწუხარო ფაქტის გამოხატულება ს. ს. რ. ფ. მთელ ტერიტორიაზე.

განსაკუთრებით შრომა და მზრუნველობა ამ მხრით დასჭირდა მოსკოვის და ლენინგრადის კინო-ოპერატორებს, რომლებიც იღებდენ ყველა მომენტებს დაწყებული გორკიდან და გათავებული მავზოლეუმში ჩასვენებით.

რამოდენიმე მილიონ მოქალაქეებმა, რომლებმაც თავი მოიყარეს რუსეთის და უცხოეთის ყოველ კუთხიდან, რათა უკანასკნელად ეხილათ ბელადი, თითქმის გადაღებულია 10,000 მეტრის კინოფილმებზე.

სატრაურო პროცესიის გავლა და დამშვიდობება ილიჩის საფლავთან მთლიანად გადაღებულია ეკრანზე. ხსენებულ კინოსურათების მთელი ნეგატივი შეადგენს მთავრობის ერთიან ფონდს, რომლის შემოსავალიც მოხმარდება ილიჩის ხსოვნას.

მეცნიერული სურათები. მახლობელ დროში სევზაპკინო მიიღებს დიდ პარტიას (200 მდე ფილმას) მეცნიერულ ხასიათის სურათებისას გერმანიიდან, რომლებიც განაწილებული იქმნება უმთავრესად მუშათა აუდიტორიების კინოებზე.

● **„ილკა“.** „კინო-სევერ“ ის საწარმოო განყოფილებამ დაამთავრა გადაღება სურათის „ილკა“, ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით სურათი დაიდგა ყირიმში.

● **ვოლხოვის ელექტრო-სადგური ეკრანზე.** დამთავრდა ვოლხოვის ელექტრო-სადგურის საალმშენებლო მუშაობის და ნაშენების გადაღება ეკრანზე.

● **„კანცლერი და ზეინკალი“.** ა. ლუნაჩარსკის პიესის „კანცლერი და ზეინკალი“-ს გადაღება ეკრანზე უკვე დაამთავრა უკრაინის ფოტოკინო-სამმართველომ, სურათს უკვე უჩვენებდენ მოსკოვში.

● **„სამი მუშკეტიორი“.** გოსკინომ მიიღო ფილმა პატეს მიერ დამზადებული სურათი „სამი მუშკეტიორი“, ა. დიუმის რომანით.

● **„კეთილშობილი არამზადები“.** კინოსევერმა მიიღო სურათი „კეთილშობილი არამზადები“. სურათი ხატავს რუსეთის თეთრგვარდიელების ცხოვრებას მონტე-კარლოში.

● **„ციხე და სასახლე“ გერმანიაში.** „ციხე და სასახლე“-ს რამდენიმე ცალი გაიგზავნა ბერლინში.

● **„უბრალო ხალხი“.** სევზაპკინომ დაამთავრა გადაღება სურათის „უბრალო ხალხი“, ო. კრიგის სცენარით. სურათი გადაღებულია ყირიმში.

● **„მაცისტი დასასვენებლათ“.** სევზაპკინომ მიიღო სურათი „მაცისტი დასასვენებლათ“. სურთათი დაამზადა იტალიის ფირმამ „Ambrosiofilm“.

● **უსარგებლო გამარჯვება.** მარტის ბოლო რიცხ[illegible]ში „[illegible]ვზაპკინომ“ დაამთავრა გადაღება სურათის „უსარგებლო გამარჯვება“.

● **„№-ის საიდუმლო“.** „კინო-სევერ“-ის საწარმოო განყოფილებამ მიიღო დასადგამათ ნ. აგნივცევის სცენარი „№-ის საიდუმლო“.

● **„ჯიმი ხიგინს“.** უკრაინის ფოტო-კინო სამმართველოს განზრახვა აქვს გადაიღოს ეკრანზე უპტონ სინკლერის ცნობილი რომანი „ჯიმმი ხიგინს“.

● **გაზეთების გამყიდველი.** პროლეტკინო სდგამს სურათს „გაზეთის გამყიდველი ქალი“.

● **„ბრძოლა დროისთვის“.** პროლეტკინო სახალხო კავშირის მუშაკთა პროფკავშირის დავალებით სდგამს სურათს „ბრძოლა დროისთვის“.

● **„რკინის რაზმი“.** პროლეტკინო მარტში შეუდგა გადაღებას სურათის „რკინის რაზმი (რ. კ. პ. ისტორია) სცენარი შედგენილია რ. კ. პ. ც. კ. დაარსებული სპეციალური კომისიის მიერ.

● **„პროფკავშირის მდივანი“.** პროლეტკინომ ეკრანისათვის მოამზადა ლერუა სკოტის რომანი „პროფკავშირის მდივანი“.

● **დემიან ბედნის სატირები ეკრანზე.** პროლეტკინო ეკრანისათვის ამზადებს ცნობილი პროლეტარული მწერლის დ. ბედნის ზოგიერთ სატირებს.

● **„იოანე მრისხანე“.** კინო-საზოგადოება „რუს“ სდგამს სურათს „იოანე მრისხანე“. სურათში, როგორც მსახიობი, მონაწილეობას იღებს ცნობილი რეჟისორი ვ. მეიერხოლდი.

● **ფეიქრების ცხოვრებიდან.** პროლეტკინო ცდგამს სურათს „გაფიცვებისაა და აჯანყებიდან—ოქტომბრის რევოლიუციისაკენ“, ფეიქრების ცხოვრებიდან.

● **გერმანელი კინო-ფირმის წარმომადგენელი მოსკოვში.** აპრილის ბოლო რიცხვებში ჩამოვიდენ მოსკოვში გერმანელი კინო-ფირმის „ფილმდისტოსტ“-ის წარმომადგენლები, ამ ფირმის სათავეში დგანან კომუნისტები. ფილმა მიზნათ ისახავს კინო სურათების მიწოდება საბჭოთა კავშირისათვის.

● **ახალი სურათები უცხოეთიდან.** ფირმა „ფილმდისტოსტ“-ის წირმომადგენლებმა ჩამოიტანეს ახალი სურათები პ. პატარა ამერიკელი მსახიობის დჯეკი კუგანის მონაწილეობით. ეს სურათებია: „ოლივერ ტვისტ“, „ბიჭია“ და სხვ.

● **თანამედროვე რუსეთი.** კინო-საზოგადოების „ფილმდისტოსტ“-ის წარმომადგენლებს განზრახვა აქვთ გადაიღონ რუსეთში სურათი „თანამედროვე რუსეთი“. სურათი შესდგება შემდეგი ნაწილებიდან: „ვოლგა“, „ნავთი“ და სხვა.

● **სურათი კავკასიის ცხოვრებიდან.** გერმანელ ფირმას „ფილმდისტოსტ“ განზრახვა აქვს ადგილობრივ გადაიღოს სურათი კავკასიის ცხოვრებიდან. სურათში მონაწილეობას მიიღებს ცნობილი გერმანელი მსახიობი პაულ ვეგენერ.

● **„სისხლიანი გვირგვინი“.** „კინო-სევერ“-მა დაამთავრა მზადება დიდი ისტორიული სურათის „სისხლიანი გვირგვინი“-ს დასადგამათ, სცენარი ურიანოვის.

● **„რკინის კედელი“.** „კინო-სევერმა“ მიიღო დასადგამათ რინდა-ალექსევას სცენარი „რკინის კედელი“.

● **„ბედნიერების მანქანა“** „კინო-სევერი“ სდგამს სურათს „ბედნიერების მანქანა“. სცენარი ეკუთვნის ნიკულინს.

● **„კრემლი“.** „სევზაპკინომ“ დაამთავრა გადაღება სურათის „კრემლი წარსულში და ახლა“.

● **„პროლეტკინოს“ განყოფილებები საზღვარ გარეთ.** „პროლეტკინოს“ განზრახვა აქვს გახსნას თავისი განყოფილებები შვეციაში, დანიაში და ამერიკაში.

უკრაინა.

● **„დედა“.** უკრაინის ფოტო-კინო სამმართველო ამზადებს ეკრაინისათვის მაქსიმ გორკის „დედას“.

● **„ხსნის კუნძული“.** უკრაინის ფოტო-კინო მრეწველობა სდგამს „ხსნის კუნძულს“, სცენარი მაისკის, დადგმა ი. გარდინის.

● **„ინჟენერი მენნი“.** დაიწყო გადაღება სურათის „ინჟინერი მენნი“.

● **„რკინის ქუსლი“.** მზადდება ეკრანისათვის ჯ. ლონდონის „რკინის ქუსლი“.

გერმანია.

● **„პარსიფალი“.** საზ-ბა „ურანია“ დგამს სურათს „პარსიფალი“, ვოლფრამ კიზელბახის მიხედვით.

● **„დედამიწის გარშემო“.** სურათისთვის „დედამიწის გარშემო“ საზოგადოებამ „რიხტერ“ დაუკვეთა სპეციალური აეროპლანი.

● **„ნიბელუნგები“.** „ნიბელუნგები“-ს პირველ ნაწილს „ზიგფრიდ“-ს უკვე უჩვენებენ ბერლინში და გერმანიის სხვა ქალაქებში.

დამთავრდა „ნიბლუნგების მეორე ნაწილის „კრიმგილდას შურის ძიება“-ს გადაღება. სურათს უკვე უჩვენებენ ბერლინში.

კინო-თეატრები. მიუხედავათ კრიტიკულ მდგომარეობისა, რომელშიც ეხლა გერმანია იმყოფება კინო-მატოგრაფიის და კინო-თეატრების გამრავლება სწრაფად იზრდება. ასე მაგ. 1918 წ. გერმანიაში კინო-თეატრების რიცხვი აღწევდა 2,233. რომელშიაც საჯდომი ადგილი იყო 783, 217, ხოლო 1923 წ. ბოლო რიცხვებში ის უკვე აღწევს 4238, რომელშიაც საჯდომი ადგილი იყო 1,443,259. ამათგან მარტო ბერლინზე მოდის 418 კინო-თეატრი 149,390 საჯდომ ადგილით.

მოლაპარაკე ფილმა. გერმანიაში უკანასკნელად ამზადებენ პირველ მოლაპარაკე ფილმას ექსპრესიონისტ ფრანც ვერფელის პიესა „ადამიანი სარკისგან“-ს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სანდრო მოისსი, კრაუს ლინი ლოსსენ და სხვ.

მეცნიერული სურათები. „მესსტერ ოსტრემეიერ ფილმამ“ დაასრულა დიდ მეცნიერულ სურათის „რენედგენის სხივების“ გადაღება. სურათი იყოფა ორ ნაწილათ: მეცნიერულზე და მედიცინური. პირველი ნაწილი გვაძლევს სხივის მიღების ისტორიას და გვაცნობს რენტგენო-ტეხნიკის მდიდარ აპარატებთან, ხოლო მეორე ნაწილი გვიჩვენებს რენტგენის სხივების პრაქტიკული გამოყენებას მედიცინაში.

ექსპედიციის გამოკვლევები. ცნობილ მკლევარ რამბუსინის უკანასკნელი ექსპედიცია ჩრდილოეთის პოლიუსზე გადაღებულია ეკრანზე და ის დიდის ყურადღებით იქმნა ნაჩვენები ბერლინის კინო-თეატრებში. სურათი სხვათა შორის იძლევა საყურადღებო მასალებს ესკიმოსთა ცხოვრების შესახებ გერელანდიაში.

ადამიანის წარმოშობა. „ვორბ-ფილმამ" დასრულა ხუთ მოქმედებიანი მეცნიერული სურათი: „ადამიანის წარმოშობა". სურათი გადაღებულ იქმნა ბერლინის უნივერსიტეტის გონეკოლოგიურ კლინიკაში ცნობილ ფიზიოლოგ-პროფესორის განს ფრიტენდალის ხელმძღვანელობით.

ამერიკა.

კინო-თეატრები. შეერთებულ შტატებში კინო-თეატრების რიცხვი აღწევს 15,000, რომელშიაც თავსდება 7,605,000 მაყურებელი.

კინოს მოსამსახურეები. ადამიანთა რიცხვი რომლებიც კინო-თეატრებში მსახურებენ 155,000,000 ყველაზე უფრო დიდი კინო-თეატრი ქვეყნიერებაზე არის ქალაქ კლევენდში (ოგიოს შტატში) ეხლახან აშენებული ახალი კინო-თეატრი. ეს შენობა იტევს 24,000 მაყურებელს.

წარხულის სურათები. სურათი „დახურული ეტლი" გვაძლევს ამერიკაში პირველათ გადასახლებულთა ცხოვრებას. ეს სურათი გრანდიოზული გამარჯვების სარგებლობს ამერიკაში. ნიუ-იორკის ერთ-ერთ კინე-მატოგრაფში ეს სურათი განუწყვეტლივ მიდიოდა რვა თვეს და ამასთანავე მისი ბილეთები გაყიდული იყო ყოველთვის რამოდენიმე თვით წინიდ".

ამერიკის ისტორია" კინოს ცნობილმა რეჟისორი დავიდ გრიფიტი შეუდგა „ამერიკის ისტორიის" დადგმას. ჟაზეთების ცნობით ეს სურათი თითქმის სრულებით აღადგენს ისტორიულ ცხოვრებას ამერიკის. მარტო ერთი სარეჟისორო შტატი ამ სურათისთვის შეადგენს 180 კაცს.

კინო რეაქციის სამსახურში. შესდგა ახალი „ამერიკული კინემატოგრაფიული სააქციონერო საზოგადოება", რომელსაც თავის მიზნათ აქვს დასახული გამოუშვან ისეთი სურათები, რომლის შინაარსი მიმართული იქნება მუშათა მოძრაობის წინამდეგ. საზოგადოებას მეთაურობენ ცნობილი ამერიკული სამრეწველო დაწესებულებების წარმომადგენლები.

„საზოგადოება თავის ცირკულიარში მოუწოდებს ყველა კაპიტალისტებს, რათა ხელი მოაწერონ ყველა აქციებზე იმ მიზნით, რომ დიდი თანხით უფრო შესაძლებელი იქნება ბრძოლა „საფუძველის შემრყეველთა" (იგულისხმება მუშათა კლასი) წინააღმდე. გზა დაგზა საზოგადოებას მიზნათ აქვს დასახული, რათა განახორციელონ აგიტაციის საშუალებით ამერიკანიზმი ე. ი. ამერიკა ამერიკელებისთვის.

გამოფენა. ამ მოკლე ხანში ამერიკაში მოხდება ისტორიული და კინემატოგრაფიული გამოფენა. ამ გამოფენაზე გამოქვეყნებული იქმნება თითქმის ყოველივე ამერიკული კინო-მრეწველობიდან.

საფრანგეთი.

ადამიანის ცნობა. მსოფლიო ომმა საფრანგეთს შესძინა სხვა მრავალ „ძვირფას საჩუქართა" შორის სამოცი ინვალიდი ჯარის-კაცი, რომლებმაც მძიმე ჭრილობების მეოხებით დაკარგეს მხედველობა, სმენა, დაივიწყეს თავისი სახელი, გვარი და მხარე. როგორც გამოირკვა ხსენებული ჯარისკაცებს უმეტესობა არის კანადიდან, ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა გადაიღოს ისინი კინოს სურათებზე და აჩვენოს კანადის ქალაქებში და სოფლებში ხალხს, იმ მიზნით, რომ შესაძლებელია ზოგიერთი მათგანი გამოცნობილ იქნას თავის მშობლებისგან და ნათესავებისგან.

● **„ლანდები".** პარიზის კინო-საზოგადოებამ „ალბატროს" დადგა ორი ახალი სურათი „კინი" და „ლანდები" მოზეუხინის და ლისენკოს მონაწილეობით.

ლიტერატურა

რუსეთში.

● **„მხატვარი და მაყურებელი".** გამოვიდა ჟურნალი „მხატვარი და მაყურებელი" (საბჭოთა კავშირის პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობის ორგანო) № 2—3. ნომერში მოთავსებულია ლუნაჩარსკის მოგონებები ლენინზე: „ლენინი და ხელოვნება", გიმელფარბის წერილი გ. კაიზერზე და სხვა.

● **„ზვეზდა".** გამოვიდა ჟურნალ „ზვეზდა"-ს მეორე ნომერი. ნომერში მოთავსებულია ზინოვიევის წერილი „ლენინი—გენიოსი, მასწავლებელი, ბელადი და ადამიანი". ვ. ლენინის წერილის „კარიკატურა მარქსიზზე"-ს დასასრული და სხვა მასალები.

გერმანია.

● **შემთხვევა შვენდეკლეის ცხოვრებიდან** ბერნგარდ კელერმანის ახალი რომანი „შემთხვევა შვენდეკლეის ცხოვრებიდან" გადაითარგმნა რუსულ ენაზე.

● **ტროცკის წიგნი გერმანულით.** ტროცკის წიგნი „ყოფა-ცხოვრების საკითხების შესახებ", გადაითარგმნა გერმანულად და ჰამბურგში გამოიცა.

მეცნიერება და ტექნიკა

ხაიდუმლო სხივები

დასავლეთ ევროპაში გამოიგონეს მანქანა, რომელიც შორეული მანძილზე აჩერებს, სპობს სხვა და სხვა საგნებს. მართალია, ახლად გამოგონებული მანქანის საშვალებით არ შეიძლება ყოველგვარი საგნის მოსპობა შორეულ მანძილზე, მაგრამ მისი გავლენა მაინც ვრცელდება 80 ვერსტზე ცენტრიდან, სადაც აპარატი არის დადგმული. მანქანის სხივები (ტალღების) გავლენას ახდენენ ასაფეთქებელ მასალებზე და მანქანების მამოძრავებლებზე. (მოგვყავს ამ აპარატის სურათი).

ასაფეთქებელი მასალები, რომლებიც ამ საიდუმლო სხივების მოქმედების არეში იმყოფებიან—აფეთქდებიან, მანქანების მამოძრავებლები კი ჩერდებიან. ამ სხივების საშვალებით გააჩერეს რამდენიმე ათეული ავტომობილი, რომლებიც გზაში იმყოფებოდენ.

ამ დარგში მიღებულ შედეგების უფრო განვითარების წყალობით მომავალში სრულიად შეუძლებელი გახდება ასაფეთქებელი მასალების შენახვა და იმპერიალისტურ სახელმწიფოების მეცნიერებს მოუხდებათ მუშაობა, რომ მოსპონ, გააქრონ ამ სხივების გავლენა.

მანქანების ხელმძღვანელობა შორეულ მანძილიდან.

რადიო-ტექნიკა ეძებს და უკვე ნაწილობრივ გამონახა საშუალებები ელექტრო-მაგნიტიურ ტალღების გამოსაყენებლად მანქანების სახელმძღვანელოდ. ამ საკითხით დაინტერესებული პირები მიზნად ისახავდენ სხვა და სხვა მექანიზმების ხელმძღვანელობას შორეულ მანძილიდან ამ ტალღების საშუალებით.

ცდები ამ მიმართულებით დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ უფრო მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოხერხდა ამ ამოცანის პრაქტიკულად გადაჭრა. რადიო-ტექნიკის ამ დარგს ეწოდება ტელემეხანიკა.

ამერიკაში პირველად მოახერხეს ავტომობილის ხელმძღვანელობა 400 საჟენის მანძილზე.

1918 წელს საფრანგეთში 6 ვერსის მანძილზე ენერგიის წყაროდან ხელმძღვანელობდენ (მიმართავდენ) აეროპლანის მოძრაობას.



აპარატი, რომელიც ყოველგვარ საგანს სპობს 80 ვერსტზე ცენტრიდან.

ხელოვნება საქართველოში

„პოეზიის დღე“—7 მაისს პოეზიის დღის აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა ცენტრალურმა კავშირმა გამოსცა საგანგებოთ სადღესასწაულო ნომერი. იმ ღამესვე ხელოვნების სასახლეში გაიმართა სადღესასწაულო საღამო.

დიხპუტი თეატრის გარშემო—ორშაბათს 12 მაისს რუსთაველის თეატრში ამხ. კაპანელმა გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „მეტყველება და ხელოვნების პრობლემა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. დუდუჩავამ სერგო ამაღლობელმა, ალ. წერეთელმა, და სხ.

სტუდიელების დებიუტი—სახელმწიფო დრამსტუდიის დებიუტმა საშუალოთ ჩაიარა, წარმოდგენილ იქმნა პიესა „ადამიანი მასსა“.

სომხური ოპერა—კვირას 11 მაისს საოპერო თეატრში გაიმართა მორიგი წარმოდგენა სომხურ საოპერო დასისა. წარმოდგენილ იქმნა მხიარული ოპერა „ჰარამხანის საიდუმლო“.

გასტროლები. ტფილისის ქართული აკედემიური დასი კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა პროვინციაში წარმოდგენილ იქმნება შემდეგი პიესები: „გმირი“, „ცხვრის წყარო“, „ადამიანი მასსა“ და სხ. დასმა წაიღო თან თავისი ტანისამოსები და დეკორაციები. დასი შეივლის ჭიათურაში, ქუთაისში, ბათომში და ფოთში, სადაც გამართავს ოთხ ან ხუთ წარმოდგენას, გასტროლების შემდეგ დასი მიემგზავრება კურორტზე დასასვენებლად.

სანიტარულ-განმანათლებელი ჟურნალი—ახლო მომავალში ტფილისში გამოვა ქართულ ენაზე სანიტარულ განმანათლებელი ჟურნალი „საუნჯე“.

საბინოვა-ვირიაზევას კონცერტი—ტფილისში ჩამოვიდა და გამართა რამოდენიმე კონცერტი ცნობილმა მომღერალმა ქალმა სობინოვა-ვირიაზევამ, რომელმაც შეასრულა 17 სხვა და სხვა ეროვნების სიმღერები.

აბასოვის იუბილე—9 მაისს რუსთაველის თეატრში გაიმართა იუბილე თურქულ დრამის რეჟისორ და მსახიობის მირზა ალი აბასოვისა, მისი 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

სახალხო სახლი—სახალხო სახლის ქართულ დრამატიულ სექციის სეზონი გაგრძელდება 15 ივნისამდე.

სლადკოპევცოვის ჩამოსვლა—ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი მაესტრო სასცენო ხელოვნებისა სლადკოპევცოვი, რომელიც უკვე მიწვეულია ქართულ დრამაში და პროლეტკულტში მასწავლებლათ.

ქართული ოპერა მოსკოვში—კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი მიემგზავრება მოსკოვში ქართულ ოპერების „აბესალომ და ეთერი“ და „დაისის“ დასადგმელათ.

საოპერო სეზონი—ტფილისის საოპერო სეზონი დაიხურა ქართულ ოპერა „აბესალომ და ეთერით“.

კომპოზიტორ გლიერის ჩამოსვლა—ტფილისში ჩამოვიდა კომპოზიტორი გლიერი, რომელიც გამართავს რამოდენიმე კონცერტს.

მამედოვას კონცერტი—ბაქოს თურქულ ოპერის პრემიერშა შევხეთ-ხანუმ მამედოვა ჩამოვიდა ტფილისში რამოდენიმე კონცერტის გასამართავათ.

მამიკონიანის საღამო—რიტმის და პლასტიკის სტუდიის საღამომ მამიკონიანის ხელმძღვანელობით მაყურებლებზე დადებითი შთაბეჭდილება დასტოვა.

ბაქოს დრამის გასტროლები—ტფილისში ჩამოვიდა და რუსთველის თეატრში გახსნა საგასტროლო სეზონი ბაქოს რუსულ დრამატიულ დასმა. უკვე დაიდგა პიესები: „ოვოდ“ „დათვის ქორწილი“, „ტბა ლიული“ და სხვ დასი დარჩება ტფილისში 1 ივნისამდის.

ჟუკოვის გასტროლი—20 მაისიდან საოპერო თეატრში დაიწყება საგასტროლო წარმოდგენები მოსკოვის დიდ თეატრის მოცეკვავეებისა ჟუკოვის და ბალერინა მარიამ რეიზენისა.

ახალი თურქული ოპერა--კომპოზიტორმა გლიერმა დაამუშავა ახალი თურქული ოპერა „შახ-სენემ“, რომელიც შეტანილია უკვე რეპერტუარში.

კარა-დარვიშის იუბილე—ახლო მომავალში ტფილისში გაიმართება სომხის პოეტ კარა-დერვიშის იუბილე მისი 35 წლის სამწერლო ასპარეზე მოღვაწეობის აღსანიშნათ.

ხელოვნების დროშა—ხელოვანთა მუშაკთა კავშირმა გამოსცა ქართულ ენაზე ჟურნალი „ხელოვნების დროშა“.

წითელი თეატრი—სახალხო სახლში გაიხსნა წითელი თეატრი, წარმოდგენები იმართება ქართულ და რუსულ ენაზე, რუსულ დასს ხელმძღვანელობს ამხ. იგნატიევი და ქართულს კი—ამხ. დ. კობახიძე. ქართულმა პროლეტ დასმა ამავე კობახიძის რეჟისორობით წარმოადგინა ემილ ვერხარნის პიესა: „რიჟრაჟზე“, ამზადებენ აგრეთვე სრული ახალ მიზანსცენებით „ცხვრის წყაროს“.

სპარტაკი—11 მაისს სახალხო სახლში დაიდგა ქართულ ენაზე ახალა პიესა სანდრო შანშიაშვილისა „სპარტაკი.

ალ. წუწუნავას ჩამოსვლა—ტფილიში ჩამოდის ცნობილი რეჟისორი ალ. წუწუნავა, რომელსაც იწვევენ პროლეტ. თეატრის ხელმძღვანელათ.

პლეხანოვის თეატრი—20 მაისს პლეხანოვის სახელობის თეატრში იხურება ქართულ წარმოდგენების სეზონი.

ნახიჩევანის ოპერა—ტფილისში ჩამოდის საგასტროლოთ ნახიჩევანის საოპერეტო დასი.

ნორკი—გამოვიდა სომხური დიდი ჟურნალი „ნორკი“ რომელიც შეიცავს 375 ფურცელს. ჟურნალში მოთავსებულია ლიტერატურა, კრიტიკა და სხ.

ქუთაისის დრამა—დაიხურა ქუთაისის აკადემიურ დრამის სეზონი. სულ დაიდგა 90 წარმოდგენა. დასში მონაწილეობდნენ: ელ. ჩერქეზიშვილი, ვალ. გუნია, ფ. გამყრელიძე და სხ. დასს ხელმძღვანელობდა მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, მასვე აქვს მინდობილი შეადგინოს მომავალ სეზონისათვის ახალი დასი.

ახალი თეატრი ქუთაისში—ქუთაისში, ქალაქის შუა ადგილას შეუდგნენ ახალ თეატრის აშენებას.

ახალი კავშირი—ტფილისში, ხელოვნების სასახლესთან მოეწყო ქართველ მემუსიკეებისა და მომღერლების ახალი კავშირი.

ეშაფოტი. გამოდის ს. ერთაწმინდელის ლექსების წიგნი: „ეშაფოტი“.

ვ. მჭედლიშვილის გარდაცვალება. რუსეთში უეცრად გარდაიცვალა ცნობილი რეჟისორი ვახტანგ მჭედლიშვილი.

ახალი წიგნი. გამოვიდა და იყიდება გოგიტო ციმბირელის ლექსების წიგნი: „ცეცხლის აკორდები“.

„ვირების მესია“. გამოვიდა და იყიდება რაჟდენ გვეტაძის ლექსების პირველი ტომი: „ვირების მესია“.

შ. ჯანბერიძის წიგნი. გამოვიდა და იყიდება შ. ჯანბერიძის ლექსების წიგნი.

მუსიკა

რუსეთი.

● **ახალი ოპერა.** კომპოზიტორმა ს. პროკოფიევმა დასწერა ახალი ოპერა. სიუჟეტე აღებულია ბ. შოუს კომედიიდან „ეკატერინე დიდი“.

ინგლისი

● **სერგეი კუსევიცკი შოტლანდიაში.** ცნობილმა მილიარდერმა კარნეჯიმ აუარებელი თანხა გადადვა თავის სამშობლოში, შოტლანდიაში, სიმფოონიური ორკესტრის მოსაწყობათ. დირიჟიორათ მოწვეულია ცნობილი რუსი მუსიკოსი სერგეი კუსევიცკი.

● **ახალი ოპერა.** მიმდინარე წელს ლონდონში დაიდგა დე-ლარას ახალი ოპერა „სამი მუშკეტიორი“.

საფრანგეთი.

● **„ოქროს მამალი“.** პარიზში დიდი სიმპატიებით სარგებლობს კაბარე „ოქროს მამალი“. დასში არის ფ. შალიაპინის ქალი ლიდია შალიაპინა.

● **„დიბინუშკა“ პარიზში.** პარიზში დიდ აღტაცებას იწვევს რუსული სიმღერები, განსაკუთრებით „დუბინუშკა“.

გერმანიაში.

● **ტენორი სმირნოვი გერმანიაში.** ცნობილმა რუსმა ტენორმა დიმიტრი სმირნოვმა რამდენიმე კონცერტი გამართა გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში. გერმანიის პრესა მას „ტენორების მეფეს“ უწოდებს.

ამერიკაში.

● **რუსი მუსიკოსები და მომღერლები ამერიკაში.** ამერიკაში დიდის წარმატებით გამოდიან რუსი მუსიკოსები მეიჩიკი და სხვები.

● **რუსული ბალეტი ამერიკაში.** ცნობილმა რუსმა ბალეტმეისტერმა ფოკინმა, თავისი სტუდია გახსნა ამერიკაში.

სტამბა „ზარია“ ვოსტოკასი საშა წულუკიძის ქუჩა № 4.